ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 1 დეკემბერი, 2021 | №227 (8756) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

## პოლიციამ იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

10 პირი დააკავეს

## „თბილისის ტრეიდერთა კლუბმა“ და „ფორექს ინვესტმა“ მოქალაქეებს 12 მილიონი ლარი მოპარეს

გვ.5

# „პრეზიდენტის გასამართლება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე თავად პრეზიდენტის გადაცდომები“

გვ.3

## კოტე კემულარია: „სააკაშვილის პროცესზე პროკურორების ქმედება მთელი პროკურატურისთვის სილის გაწვნა იყო“

## „კობახიძე ივანიშვილის პრეესსამსახურია“



გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ის, რაც ხალხის კონსტიტუციური უფლებაა, ბიძინა ივანიშვილმა თავის თავზე გადაიბარა“

## „სააკაშვილს გააზრებული აქვს ის შეცდომები, რომლებიც პრეზიდენტობისას სასამართლოში დაუშვა“

მამუკა ახვლედიანი: „30 წელია, ამ ქვეყნის პრობლემა სწორედ სასამართლო სისტემაა“

გვ.2

## „სააკაშვილი ძალიან კარგად გრძნობს, რა აქვს ჩადენილი“

გელა ნიკოლაიშვილი: „მესამე პრეზიდენტს უამრავი ადამიანი ჰყავს შეწყალებული, მაგრამ უფლებამოსილების გადამეტებას ბრალად არავინ სდებს“

გვ.4

გვ.3

## დავით ქართველიშვილი: „პრემიერის ინიციატივებით უკმაყოფილო „მაფიამ“ ხმის ამოღება არ დააყოვნა“



გვ.2

## ირაკლი ღარიბაშვილი: „ტრიოს მიზანს ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნების ინტეგრაციის გზაზე შემდგომი დაწინაურება წარმოადგენს“

## საბა ბუაძე: „ლელო“ მედიის გადასახადებისგან 3 წლით სრულად გათავისუფლებას ითხოვს“

გვ.2

ISSN 1987-9385

4 გალის ქართველებს ახალ დაბრკოლებებს უქმნიან

5 „ზურაბი ანასტასიას მკვლელობასთან კავშირშია“ რას ამბობს შატალოვას დედა

5 „არ ჩამოდიოდა და ძალით ჩამოიყვანეს“ რატომ დააკავეს ბესიკ თამლიანი

6 აზერბაიჯანში სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა 14 ადამიანი დაიღუპა

# „სააკაშვილს გააზრებული აქვს ის შეცდომები, რომლებიც პრეზიდენტობისას სასამართლოში დაუშვა“

## მამუკა ახვლედიანი: „30 წელია, ამ ქვეყნის პრობლემა სწორედ სასამართლო სისტემაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი მოსამართლე მამუკა ახვლედიანი პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, გუშინ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა. არ იყო მოლოდინი, რომ მას პროცესზე მიიყვანდნენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მიიღეს გადაწყვეტილება და საქართველოს მესამე პრეზიდენტი საკუთარ პროცესს დაესწრო. როგორია თქვენი შეფასებები? ოპონენტებისგან მოვისმინეთ, სააკაშვილი არაფერს არ ნანობს და რატომ უნდა აპატიონ ან რატომ უნდა შეიწყალონო. თქვენ რას იტყვით, როგორც ყოფილი მოსამართლე?***

– თუ შეცდომები აქვს დაშვებული, ამ შეცდომებს ყველაზე კარგად თავად ის ხედავს, ვინც დაუშვა. მან თავად ისაუბრა სასამართლო პროცესზე ამ ყველაფერთან დაკავშირებით.

***– ერთადერთი, რასაც ვნანობ, სამართლიანი სასამართლო ვერ შევქმენიო, განაცხადა სააკაშვილმა. თქვენ იმდროინდელი სასამართლო სისტემის წარმომადგენელი ბრძანდებით და რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მას ამაში?***

– დავეთანხმები იმ კუთხით, რომ ძალიან ბევრი პრობლემა იყო სასამართლოში და ახლაც არის. ცვლილებები ნამდვილად საჭიროა. 30 წელია, ამ ქვეყნის პრობლემა სწორედ სასამართლო სისტემა და სამართლიანობაა, რომელიც ვერ დადგა და ვერ შედგა ამ ქვეყანაში. ერთია, როცა რეფორმას ატარებ და ზემოდან ხედავ ამ ყველაფერს და მეორეა, როცა შენ თვითონვე აღიქვამ ყოველივეს. მან სხვადასხვა მხრიდან დაინახა ის პრობლემა. ამიტომ, ვფიქრობ, მას გააზრებული უნდა ჰქონდეს ის პრობლემები, რომლებიც სასამართლოში დაუშვა.

***– როგორც მოვისმინეთ, 7 ნოემბრისა და თუნდაც გირგვლიანის საქმეში ის თავს დამნაშავედ არ თვლის.***

– ამაზე ვერაფერს გეტყვით. ეს ჩემი შესაფასებელი არ არის. პროცესზე გამოჩნდება ყველაფერი. როცა ადამიანი გამოხატავს სინანულს, ეს ასეა და ეს ამას ნიშნავს. სხვას ვერაფერს ვიტყვი. ამ ადამიანმა სხვადასხვა კუთხით დაინახა ეს ყველაფერი და ნამდვილად ექნება იმის აღქმის უნარი, თუ სად იყო შეცდომა დაშვებული და სად – არა. ყველა გონიერი ადამიანი ამას აკეთებს და, დარწმუნებული ვარ, მიხეილ სააკაშვილს ეს შეფასება გაკეთებული აქვს. აი, ეს არის ჩემი შეფასება, როგორც მოსამართლისა და როგორც მოქალაქის.

***– გუშინდელ სასამართლო პროცესზე ან სასამართლო შემადგენლობაზე რას იტყვით, რა გადაწყვეტილებებს ელოდებით?***

– ძნელია წინასწარ იმის თქმა, თუ რა იქნება. ძალიან კვალიფიციური და გამოცდილი მოსამართლეები არიან. ბევრი დეტალი მომეწონა პროცესზე. ძალიან კარგად წარიმართა. ყველა მხარეს მიეცა პოზიციის გამოხატვის საშუალება. ეს ძალიან კარგი იყო.

***– პროკურორი შეეცადა, პატიმარ სააკაშვილისთვის სასაუბრო ლიმიტი შეემცირებინა, თუმცა ეს მოსამართლემ არ გაიზიარა.***

– აბსოლუტურად სწორად არ გაიზიარა. საზოგადოებას აინტერესებს პრეზიდენტის პოზიცია და ეს პოზიცია უნდა იქნეს მოსმენილი. ორი თვეა, ეს ადამიანი ამ ქვეყანაში იმყოფება, დაკავებულია და თვალითაც არ უნახავს საზოგადოებას. ის არის ყოფილი პრეზიდენტი და, როგორი ტექსტიც არ უნდა ჰქონოდა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოსმენილი სასამართლოს მხრიდან. ეს ჩვეულებრივი წესია და ძალიან სწორად მოიქცა სასამართლო.

***– სწორედ ეს არ უნდოდა ხელისუფლებას, რომ მას კომუნიკაციის საშუალება ჰქონოდა, მიემართა მოსახლეობისთვისო. ასეა?***

– დიახ, პრობლემაც ამაშია. თუნდაც სატელეფონო კავშირის შეზღუდვა არაფრით არ შეიძლება. პროკურატურის დასაბუთება, რომ ის მოახდენდა მოწმეებზე ზეწოლას, აბსურდია. ამ საქმის მერე გასულია 13 თუ 14 წელი. თუ ვინმეზე ზეგავლენის მოხდენა უნდოდა, უკვე მოხდენილი ექნება. ეს არ არის სატელეფონო ზარების შეზღუდვის მიზეზი, ამიტომ მე ამ შეზღუდვების სამართლებრივ მიზეზს ვერ ვხედავ და სწორედ ამიტომ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ყველაფერს ერქმევა პოლიტიკური.

***– თქვენ პირადად რა მოლოდინი გაქვთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება?***

– ვერ გეტყვით, ძალიან რთული შემთხვევაა. მე იმედი მაქვს სამართლიანობისა და სიმართლის. თუ პრეზიდენტის მიმართ არ ვიქნებით სამართლიანები და ასეთ ქცევას დავუშვებთ გინდ სასამართლოში და გინდ საპატიმროში, გამოდის, რომ მართლმსაჯულება საერთოდ არ გვაქვს! ეს არის რაღაც ანგარიშსწორების მსგავსი, უფრო ზუსტად, პოლიტიკური ანგარიშსწორება. მე ამ ყველაფრის სამართლებრივ საფუძველს ვერ ვხედავ. ვერც იმ მიზეზს ვხედავ, ამ ორი თვის განმავლობაში რატომ არ ჩაინიშნა პროცესი. ვერც იმ მიზეზს ვხედავ, რომ ორი თვით გადაიდოს და გაინწელოს დროში. საზოგადოებას აინტერესებს პასუხები. ყველაფერი უნდა ჩატარდეს სწრაფად, გამჭვირვალედ, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ყველას ჩართულობით. სანდოობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოსთვის, ამიტომ ჩართულობა და დახმარება აუცილებლად უნდა გამოიყენოს სასამართლომ. კიდევ არის ამის საშუალება. ამიტომ მოლოდინზე საუბარი რთულია. ეს რომ იყოს მხოლოდ სამართლებრივი, გავაკეთებდით შეფასებებს, თუმცა აქ პოლიტიკური მდგენელი გაცილებით დიდია.

***– პოლიტიკური კომპონენტი უფრო დიდია ამ საქმეში?***

– სამწუხაროდ, ასეა და აჭარბებს სამართლებრივ კომპონენტს. პროცესი მიმდინარეობს არა სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ ჭრილში. აი, ეს არის ყველაზე ცუდი. ამ სასამართლოს პირობებში პროგნოზის გაკეთება რთულია.

***– სააკაშვილმა თავადვე აღიარა, რომ სასამართლო სისტემა მისი მმართველობის პირობებში ვერ შედგა და ამით ხელისუფლებამ კიდევ უფრო მოითბო ხელი.***

– კი ბატონო, ვიზიარებ მიხეილ სააკაშვილის შეფასებებს იმდროინდელ სასამართლოსთან დაკავშირებით. იმ ხელისუფლების დროს შეცდომების მიზეზი აბსოლუტურად სხვა იყო და დღეს აბსოლუტურად სხვაა. ეს კიდევ უფრო დიდი სიმახინჯეა.

***– რა არის სხვაობა მაშინდელ და ახლანდელ სასამართლოს შორის?***

– მაშინ მართლა ინსტიტუტები იქმნებოდა და იმ დროს დაშვებული შეცდომები გამოუცდელობის შედეგია.

***– ნულოვანი ტოლერანტობა და თითქმის ნულამდე დაყვანილი გამამართლებელი განაჩენებიც გამოუცდელობით მოგდიოდათ?***

– კი, ეს იყო, არავინ გაურბის. აბსოლუტურად გეთანხმებით. ეს არავისთვის მისაღები არ არის, მაგრამ მის შემდგომ არაფერი არ შეცვლილა, პირიქით, ახლა იმ სიმკაცრეს ეს ხელისუფლება იყენებს და კიდევ უფრო საშიში გახდა. პოლიტიკური ინტერესებია, ვიღაცისთვის ნულოვანი ტოლერანტობაა, ვიღაცისთვის კი – პირიქით. ზუსტად ესაა პრობლემა, რომ არ არის ერთიანი მიდგომა ყველასთვის და არსებობს შერჩევითი სამართალი. სრულად აკონტროლებს ხელისუფლება სასამართლო სისტემას. 100 საქმიდან, შეიძლება, ხელისუფლებას მხოლოდ 10 აინტერესებდეს, მაგრამ იმ ათზე ზუსტად ის განაჩენი დადგეს, რომელიც მას უნდა, ანუ სასამართლო ხელისუფლება ახერხებს, აკონტროლოს ფაქტობრივად ყველა საქმე და საჭიროების შემთხვევაში გაამახვილოს ყურადღება კონკრეტულ საქმეზე. ეს არის მახინჯი სისტემა, რომელიც უნდა შეიცვალოს.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ტრიოს მიზანს ევროკავშირთან ჩვენი ქვეყნების ინტეგრაციის გზაზე შემდგომი დაწინაურება წარმოადგენს“

საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მეთაურობით, ბრიუსელში იმყოფება.

ევროკავშირის უმაღლესი თანამდებობის პირებთან მოლაპარაკებების დაწყებამდე, მთავრობის მეთაურმა პირველი შეხვედრა უკრაინელ და მოლდოველ კოლეგებთან გამართა.

ირაკლი ღარიბაშვილმა, დენის შმიგალმა და ნატალია გავრილიცამ იმსჯელეს იმ პრიორიტეტულ მიმართულებებსა და მოლოდინებზე, რომლებიც 15 დეკემბერს დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტთან მიმართებით არსებობს.

მათ აღნიშნეს, რომ ასოცირებული ტრიოს პრემიერ-მინისტრების ვიზიტის მიზანია, კიდევ ერთხელ დაადასტურონ მზადყოფნა სამი ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებისთვის, ასევე შეაჯამონ მიღწეული შედეგები და დაგეგმონ შემდგომი კონკრეტული ნაბიჯები ევროკავშირთან მეტი სექტორული ინტეგრაციისთვის.

ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება, დემოკრატიის კონსოლიდაცია, კანონის უზენაესობის გაძლიერება და ადამიანის უფლებების დაცვა ის მთავარი ღირებულებებია, რომელთაც ევროპული ინტეგრაციის პროცესი ეფუძნება.

საუბრის ერთ-ერთი თემა იყო სექტორული ინტეგრაცია, რაც სხვადასხვა სფეროში პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან დაახლოებას გულისხმობს, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და კლიმატის, ციფრული ტრანსფორმაციის, ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სექტორში.

ასევე ისაუბრეს აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი სამიტის დეკლარაციაზე, რომელშიც მნიშვნელოვანია, აისახოს ასოცირებული ტრიოს პრიორიტეტები. პრემიერ-მინისტრებმა გამოთქვეს რწმენა, რომ სამიტი ახალ შესაძლებლობებს გაუხსნის პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირის ბაზარზე ეტაპობრივი წვდომისა და ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციის გზაზე, დიფერენციაციისა და მეტი-მეტისთვის პრინციპების საფუძველზე.

ამ შეხვედრის შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილს, დენის შმიგალსა და ნატალია გავრილიცას ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა სამუშაო სადილზე უმასპინძლა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა ბათუმში ასოცირებული ტრიოს ლიდერების შეხვედრას პრეზიდენტ შარლ მიშელის მონაწილეობით და აღნიშნა, რომ ეს იყო ძლიერი ნაბიჯი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების გზაზე. ირაკლი ღარიბაშვილი გამოვიდა ინიციატივით, ევროკავშირისა და ასოცირებული პარტნიორების ლიდერთა შეხვედრებმა რეგულარული ხასიათი მიიღოს, რომელიც ასოცირებულ ქვეყნებში მონაცვლეობით გაიმართება.

შეხვედრისას განიხილეს 15 დეკემბერს დაგეგმილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი, რომლის დეკლარაციაში მნიშვნელოვანია ასოცირებული ტრიოს ქვეყნებისთვის პრიორიტეტული საკითხებისა და მოლოდინების ასახვა. სამი ქვეყნის პრემიერ-მინისტრებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს ერთობლივი პოზიცია, რომ მნიშვნელოვანია, სამიტმა ახალი შესაძლებლობები გაუხსნას პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაციის გზაზე, დიფერენციაციისა და მეტი-მეტისთვის პრინციპების საფუძველზე, ასევე ისაუბრეს იმ პრიორიტეტებსა და მიმართულებებზე, რომლებიც სამი ქვეყნისთვის ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით მნიშვნელოვანია.

პრემიერ-მინისტრმა ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს მთავრობის ამბიციურ გეგმაზე, რომელიც 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთებას გულისხმობს. ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, სამიტის საბოლოო დეკლარაციაში აისახოს საქართველოს ევროპული არჩევანი.

ასოცირებული ტრიოს პრემიერ-მინისტრები, ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, ევროპარლამენტის პრეზიდენტ დევიდ მარია სასოლის შეხვდნენ.

აღინიშნა ევროპარლამენტის მხარდაჭერის როლი ასოცირებული ტრიოს ფორმატის ჩამოყალიბებაში, რისთვისაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპარლამენტის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ევროპარლამენტი გააგრძელებს ასოცირებული ტრიოს ქვეყნების მხარდაჭერას ევროპული ინტეგრაციის გზაზე, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში, რაც ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციისთვის მნიშვნელოვანია.

ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან სამი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და დარგობრივი ინტეგრაციის ახალ შესაძლებლობებზე, თანამშრომლობის გაფართოებაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა დაკავშირებადობა, მათ შორის სატრანსპორტო, ენერგეტიკულ და ციფრულ განზომილებებში, სავაჭრო და ეკონომიკური ინტეგრაციის, კლიმატის ცვლილებების, რეგიონული უსაფრთხოების, ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავების მიმართულებით.

პრეზიდენტ დევიდ მარია სასოლისთან შეხვედრის დაწყებამდე ირაკლი ღარიბაშვილმა, დენის შმიგალმა და ნატალია გავრილიცამ ევროპარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერები გააკეთეს.

# საბა ბუაძე: „ლელო“ მედიის გადასახადებისგან 3 წლით სრულად გათავისუფლებას ითხოვს“

– მინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს საქართველოში მედიის გადასახადებისგან გათავისუფლებას 3 წლით. ეს ინიციატივა გულისხმობს მედიის ყველანაირი გადასახადისგან გათავისუფლებას.

ამის შესახებ „ლელოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა საბა ბუაძემ გუშინ, 30 ნოემბერს, პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, აღნიშნული პრობლემა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა.

– პირველ რიგში, ამის საჭიროება გამოწვეულია იმ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა, პანდემიით, რომელმაც სარეკლამო შემოსავლები მნიშვნელოვნად შეამცირა. ასევე ამ ინიციატივის აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა ირაკლი ღარიბაშვილის გუშინდელი ინიციატივის შემდეგ, რომელიც გულისხმობს აზარტული თამაშების შეზღუდვას და მათ შორის აზარტული თამაშების რეკლამის აკრძალვას.

სხვა მოცემულობაში ეს ინიციატივა იქნებოდა სწორი და გამართული. „ლელო“ აზარტული თამაშების რეგულირებას ჯერ კიდევ გასულ საპარლამენტო არჩევნებამდე ითხოვდა, მაგრამ აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ცხადი პოლიტიკური მიზანი აქვს ხელისუფლებას, რომ აზარტული თამაშებიდან სარეკლამო ბაზარზე შესული თანხის სახით დისკომფორტი შეუქმნას მედიას და კრიტიკული მედია ამ ფორმით შეავიწროოს, – განაცხადა ბუაძემ.

მისი თქმით, მმართველი პარტიის მიზანი არის არა აზარტული თამაშების რეგულირება, არამედ მედიაზე ზეგავლენის მოხდენა. „ლელოს“ ინიციატივა საზოგადოებისა და მედიის ინტერესებს დააბალანსებს.

– ბევრი მედიასაშუალებისათვის აზარტული თამაშებიდან სარეკლამო შემოსავლებში შემოსული თანხები წარმოადგენს მთლიანი კომერციული შემოსავლის 20%-ს. ამიტომ აუცილებელია, რომ დავაბალანსოთ მედიის ინტერესი და კრიტიკულ მედიას არ მივცეთ შესაძლებლობა, რომ პრემიერისგან პრობლემები შეექმნას, – განაცხადა საბა ბუაძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კობახიძე ივანიშვილის პრესსამსახურია“

## გედევან ფოფხაძე: „ის, რაც ხალხის კონსტიტუციური უფლებაა, ბიძინა ივანიშვილმა თავის თავზე გადაიბარა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **გედევან ფოფხაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო გედევან, რა გზავნილები ჰქონდა მიხეილ სააკაშვილს, როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მას პროცესებზე?***

– მიხეილ სააკაშვილს უნდა, რომ ის აქტუალური იყოს. ეს, არა მგონია, სასარგებლო იყოს ქვეყნის პოლიტიკისთვის, რადგან სახელმწიფოს ინტერესები უნდა იყოს პოლიტიკის ცენტრში და არა კონკრეტული პიროვნება, ვინც არ უნდა იყოს ის, სააკაშვილი თუ ივანიშვილი. სააკაშვილი ახერხებს, პოლიტიკური დღის წესრიგი მოერგოს მის პიროვნებას.

მიხეილ სააკაშვილმა გადადგა ის ნაბიჯი, რომელიც ყველა შემთხვევაში მაღალ შეფასებას იმსახურებს. კომფორტის ზონიდან გამოვიდა, ჩამოვიდა და ჩაჯდა ციხეში, როდესაც ციხის გასაღები მისი დაუძინებელი მტრების ხელშია. ერთადერთი თემა, რომელიც დღეს „ოცნებას“ აქვს, არის ის, რომ სააკაშვილი ციხეში ჰყავს გამოკეტილი, თუმცა სააკაშვილი ახერხებს, რომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ეს მოცემულობა, რაც, ცხადია, მისი მომხრეების სრულ მობილიზებას ახდენს და მათ მოწონებას იმსახურებს.

რაც შეეხება კითხვას, რა გავლენა ექნება ფართომასშტაბიან პროცესებზე, არა მგონია, ძალიან დიდი ეფექტის მოხდენა შეძლოს.

***– ამ ფორმატში რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს პოლიტიკური ცხოვრება? ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ როდესაც ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებზე საუბრობს, თავის თავს დასცინის.***

– ირაკლი კობახიძე ამ განცხადებით სწორედაც რომ საზოგადოების პროვოცირებას ახდენს. საერთოდ არ ვთვლი, რომ კობახიძე ანგარიშგასაწევია, მაგრამ, ვინაიდან ის არის ბიძინა ივანიშვილის მთავარი სპიკერი შექმნილ მოცემულობაში, მიწევს მასზე საუბარი. კობახიძე უფრო ივანიშვილის პრესსამსახურია, რასაც ივანიშვილი ფიქრობს, იმას გველაპარაკება. რეალურად პროცესებს ივანიშვილი მართავს და არა კობახიძე. ამიტომ ის ნომინალური ფიგურაა. ხვალ რომ მოუნდეს, ისე გააქრობს, როგორც ბახტაძე ან სხვა ნებისმიერი გააქრო. ისე შეიძლება გადაათამაშოს, საერთოდ ვერავინ ვერ იპოვოს.

***– ეს რამდენად შესაძლებელია? ასე ადვილად დათმობს კობახიძე პოზიციებს ამ ყველაფრის შემდეგ?***

– ვინ, კობახიძე?! რა თქმა უნდა! კობახიძეს არანაირი პოლიტიკური წონა არა აქვს. პოლიტიკას ვერ თმობს ის ადამიანი, რომელსაც პოლიტიკური წონა აქვს. რომ ავუხსნა მკითხველს, როგორი ურთიერთობაა „ქართულ ოცნებასა“ და ბიძინა ივანიშვილს შორის, შემიძლია ცალსახად ვთქვა, რომ ამ ურთიერთობაში არავითარი პარტნიორული არ არსებობს. ნებისმიერ ეტაპზე, საჭიროება თუ მოითხოვს, ბიძინა ივანიშვილი ისე „შეჭამს“ კობახიძეს ან ნებისმიერ სხვა ვინმეს, რომ ამას ვერავინ ვერ გაიგებს.

***– ამბობენ, ორი ადამიანი განიხილება პრემიერის შემცვლელადო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– არ გამოვრიცხავ, რომ ეს ერთგვარი გატესტვის რეჟიმში გამოგდებული ინფორმაცია იყოს. ამ მხრივ ძალიან ფრთხილია ივანიშვილი. გასაგებია, რასაც აკეთებს და ეს, რა თქმა უნდა, არაკონსტიტუციურია. პირი, რომელსაც არავითარი თანამდებობა არა აქვს ოფიციალურად, პრემიერს თანამდებობიდან ვერც უნდა უშვებდეს და ვერც უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ამ რეალობაში ვართ.

ივანიშვილი წყვეტს დღესაც, პარლამენტმა რა კანონი მიიღოს, შევიდეს თუ არა კონსტიტუციაში ცვლილებები, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ, ვინ უნდა დაინიშნოს პრემიერად ან მინისტრად. ეს არის მმართველობის ის მოდელი, რომელიც დღეს გვაქვს. ცალსახად შემიძლია გითხრათ, რომ მმართველობის ეს მოდელი საქართველოს არასდროს არ ჰქონია. ამ შემთხვევაში კონსტიტუციურ უფლებაში ივანიშვილი ხალხს ჩაენაცვლა. ის, რაც პირდაპირ ხალხის კონსტიტუციური უფლებაა, ბიძინა ივანიშვილმა თავის თავზე გადაიბარა. მან საკუთარ თავს მიანიჭა უფლებები, მაგრამ მოიხსნა პასუხისმგებლობები. სტატუსი რომ ჰქონდეს, ყველაფერი გასაგები იქნება. ამ მოდელში რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იქნება ახალი პრემიერი ან ძველი თუ მოქმედი პრემიერი ვინ არის!

***– ოპოზიციას რომ დავუბრუნდეთ, რა არის მათი მთავარი პრობლემა?***

– ოპოზიცია არ არის ერთიანი, კონსოლიდირებული. ერთი იდეის, ერთი მიზნისთვის თუ შეძლებს გაერთიანებას, მაშინ შესაძლებელია, უფრო მარტივად მიაღწიოს მიზანს. ასევე, აშკარაა, რომ ოპოზიცია არ გამოხატავს ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის ინტერესს. ძალიან მარტივად თუ ვიტყვი, პოპულარობა აკლია. ეს, რა თქმა უნდა, პროცესს აფერხებს.

# „პრეზიდენტის გასამართლება უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე თავად პრეზიდენტის გადაცდომები“

## კოტე კემულარია: „სააკაშვილის პროცესზე პროკურორების ქმედება მთელი პროკურატურისთვის სილის გაწვნა იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

რა უთხრა 29 ნოემბერმა და ბრალდებული პრეზიდენტის მიმართვამ? რას ნიშნავდა მიხეილ სააკაშვილის მხრიდან შეცდომების აღიარება და თვლის თუ არა, რომ ის გულწრფელი იყო? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „ტრიბუნას“ ერთ-ერთი ლიდერი **კოტე კემულარია** საუბრობს.

***– რა გითხრათ 29 ნოემბერმა? მას მიეცა შეფასება, რომ ის იყო ისტორიული დღე და ა.შ. თქვენი შეფასება როგორია?***

– სააკაშვილის გამოსვლა აბსოლუტურად ჯდებოდა კონსტიტუციისა და სამართლის ფარგლებში. განსასჯელს აქვს სრული უფლება, განაცხადოს ის, რასაც საჭიროდ თვლის. სამწუხაროა, რომ ჩვენა პროკურორებმა ეს არ იციან. მივესალმები, რომ სასამართლო გუშინწინ მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რაც ძალიან კარგია. თითოეული ასეთი ნაბიჯი ამაღლებს სასამართლოს ღირსებასა და ავტორიტეტს.

რაც შეეხება თავად საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მას ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები აქვს გატარებული. მე მის გვერდით ვიყავი, ამ რეფორმებშიც ვმონაწილეობდი. შესაბამისად, ამ რეფორმებზე დგას დღეს საქართველოს სახელმწიფო და მომავალშიც იდგება. როდესაც დიდ საქმეებს აკეთებ, მაშინ დიდი შეცდომებიც გარდაუვალია. ვისაც ამის არ ეშინია, ის მიდის მხოლოდ წინ. თუ ასე არ იქნები, მაშინ დღევანდელ ხელისუფლებასავით იქნები. როდესაც თითოეული ნაბიჯის გეშინია, მაშინ სასაფლაოს სიმშვიდე გაქვს – ვინმე არ გაღიზიანდეს, ვინმეს არ ეწყინოს და ა.შ. ეს მხოლოდ უცოდინარ და უმეცარ ხელისუფლებას ახასიათებს. როდესაც რაღაცით მაღლა დგახარ, არ გეშინია და ატარებ რეფორმებს, თუნდაც

ნაკლოვანებები გაქვს და ქვეყანა წინ მიდის, ეს უკვე პროგრესია, მაგრამ ჩვენ გვესმის შეურაცხმყოფელი განცხადებები დღევანდელი ხელისუფლებისგან, რომ ის ნულია და ა.შ.

თუნდაც ეს დაჭერა და ნახევრად შიშველი პრეზიდენტის თრევა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებისთვის არის დამამცირებელი და არა თავად სააკაშვილისთვის. მესამე პრეზიდენტს ამით არაფერი აკლდება, პირიქით, კიდევ უფრო მეტ პატივისცემას მოიპოვებს საზოგადოებაში. მისი გამოსვლაც ამის მომასწავებელია. როდესაც რაღაცა გაქვს გაკეთებული, შეიძლება, ქვებიც გესროლონ. ეს არის შური დაბალი ხარისხის ადამიანებისგან, ხოლო მეორე მიზეზი შურისძიებაა, რომ როგორმე გაგისწორდნენ.

***– იყო მიხეილ სააკაშვილი გულწრფელი, როდესაც შეცდომებიც კი აღიარა? ოპონენტები და მათ შორის ოპოზიციაში მყოფი ადამიანებიც ამბობდნენ, რომ სააკაშვილი იმ პრობლემებზე საუბრობს, რაც უშუალოდ მას შეეხო – ეს არის სასამართლო, მაშინ, როდესაც 7 ნოემბერზე სრულიად აირიდა პასუხისმგებლობა.***

– სასამართლო რეფორმის რაღაც ნაწილი განხორციელდა, რაც ეხება ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ქრთამის ნაწილის აღმოფხვრას, მაგრამ თავადაც თქვა, სასამართლო რეფორმა ბოლომდე რომ მიეყვანა, დღეს ის არ იჯდებოდა განსასჯელის სკამზე. როგორც გამოცდილმა იურისტმა, მინდა გითხრათ, რომ როდესაც პრეზიდენტებს ასამართლებენ, მათ ძალიან მაღალ სასჯელს უსჯიან – უვადო პატიმრობას. ასეთია მსოფლიო პრაქტიკა. ასეთი პრაქტიკა იყო თურქეთში 1983 წელს. ნინა საუკუნეებშიც მეფეებს თავს ჰკვეთდნენ და სიკვდილით სჯიდნენ. მაგრამ აქ უნდა იყოს მძიმე ბრალდება – სახელმწიფო ბრალდება, ტერორისტული აქტი, უმძიმესი კორუფცია და ა.შ. პიჯაკების საქმესა და შეწყალებაზე პრეზიდენტებს არ ასამართლებენ. 6 წელი შეიძლება მიუსაჯონ ქათმების ქურდს, მაგრამ არა – პრეზიდენტს. ეს ელემენტარული უცოდინრობაა.

***– თუმცა საფრანგეთში ხომ სხვა მაგალითი გვაქვს, როდესაც სარკოზის 2 წლით პირობითი მსჯავრი გამოუტანეს და ერთი წლით შინაპატიმრობა.***

– არა, ასე არაა. მინდა განგიმარტოთ, რომ სარკოზის საქმე დღემდე არ არის დამთავრებული, ისევე, როგორც უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის პოროშენკოს წინააღმდეგ საქმე დღემდე გრძელდება. ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდება. დანარჩენი გითხარით, რომ ასეთ საქმეებზე პრეზიდენტებს არ ასამართლებენ. მაგალითად, შეწყალებაზე სრული დისკრეცია აქვს და თვითონ უნდა გადაწყვიტოს. თუ ასე არ იქნება, მაშინ არავის შეიწყალებს პრეზიდენტი, არ გაატარებს რეფორმებს, სადაც, შეიძლება, რაღაცა შეგეშალოს. ეს ძალიან რთული საქმეა. ამის შიშით არაფერს არ გააკეთებს ხელისუფლება, როგორც იქცევა დღევანდელი ხელისუფლება, რაც დამღუპველი იქნება. ხელისუფლების ეს ქმედება შურისძიებაა.

***– ხელისუფლების ქმედება გასაგებია და, მგონი, ყველა ვხვდებით, რომ აქ პოლიტიკური მოტივაციაა, მაგრამ თავად სააკაშვილის რიტორიკა რამდენად სწორია იმავე 7 ნოემბერზე?***

– მე არ ვამბობ, რომ სააკაშვილს არ ჰქონდა შეცდომები. ძალიან მძიმე გადაცდომები იყო, მაგრამ ამის გამო პრეზიდენტის გასამართლება ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

***– დღესაც ამ ტონით რომ საუბრობს, რომ ეს პროცესი მოსკოვიდან იყო მართული და ა.შ. სწორია?***

– ეს არ ვიცი, მაგრამ, როდესაც ადამიანი აკეთებს დიდ საქმეებს, გეზი აქვს აღებული ქვეყნის განვითარებისკენ, რა უნდა ეპატიოს მას, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ეს ძირითადად უნდა იყოს პოლიტიკური განსჯის საკითხი და არა – სისხლის სამართლის. პროკურორებს რომ მისცეს დავალება და როგორ საცოდავად გამოიყურებოდნენ, ხომ ვნახეთ?! ეს კიდევ დიდი დანაშაულია და, ჩემი აზრით, კიდევ უფრო დიდი.

***– ის რამდენად სწორი იყო, როდესაც პროკურორებმა დაიწყეს პოლიტიკური განცხადებების გაკეთება და პირდაპირ დებატებში შევიდნენ სააკაშვილთან?***

– ეს უცოდინრობაა. ისინი მოქმედებდნენ იმ მხრივ, რომ ბიძინა არ გაბრაზებულიყო.

***– უცოდინრობაა თუ დავალება?***

– არა, უცოდინრობაა. ეს იყო მთელი პროკურატურისთვის სილის გაწვნა. თითქოს უმაღლესი რანგის პროკურორები იყვნენ, ჩვეულებრივ რიგით პროკურორებს ხომ არ გამოგზავნიდნენ და ეს არის ტრაგედია და უბედურება.

პროკურატურა, როგორც ინსტიტუცია, აუცილებლად სჭირდება ქვეყანას, მაგრამ იქ უნდა მუშაობდნენ გამოცდილი და კვალიფიციური იურისტები. სხვათა შორის, ეს ტრადიცია ჰქონდა საქართველოს და, ძალიან ვწუხვარ, რომ დღევანდელი პროკურატურა ასეთ მდგომარეობაშია.

# დავით ქართველიშვილი: „პრემიერის ინიციატივებით უკმაყოფილო „მაფიამ“ ხმის ამოღება არ დააყოვნა“

– პრემიერ-მინისტრის მიერ გამოცხადებული ახალი სოციალური პოლიტიკის ფარგლებში, მოსახლეობამ შეიტყო მისთვის მტკივნეულ სფეროებში – ონლაინკაზინოებთან, საფთიაქო ნარკომანიასა და წამლების ფასებთან მიმართებით ახალი სამთავრობო ინიციატივების თაობაზე. ამ ინიციატივებით უკმაყოფილო „მაფიამაც“ არ დააყოვნა ხმის ამოღება.

ამ სიტყვებით ეხმაურება ექსპერტი დავით ქართველიშვილი ირაკლი ღარიბაშვილის მედიკამენტებთან და ონლაინკაზინოებთან დაკავშირებით მიღებულ ინიციატივებს, რომლებსაც „ლელოს“ მხრიდან ნეგატიური შეფასება მოჰყვა.

დავით ქართველიშვილი

– ეს შეტევა ამ სოციალურად ორიენტირებულ ინოვაციებზე იმ ძალების მხრიდან წამოვიდა, ვინც ამ სარფიან ბიზნესთან უშუალო კავშირში მოიაზრება. ეს ის ძალებია, ერთის მხრივ, საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ პოლარიზაციაზე დეკლარირებულად „წუხილს“ რომ გამოთქვამენ, მაგრამ ახალგაზრდა თაობებში ლუდომანიის, ნარკომანიის შემცირების, ხოლო პენსიონერებისთვის წამლების ფასების ხელმისაწვდომობის გამო – ხელისუფლების მხარდაჭერის სანაცვლოდ, საკუთარი ინტერესების შეზღუდვის გამო ცდილობენ, შური იძიონ მასზე.

„ლელოს“ წევრი საბა ბუაძე მოუწოდებს ხელისუფლებას, შეარბილოს მედიაზე არსებული საგადასახადო წნეხი და სულ მცირე სამი წლის განმავლობაში მედია ბიზნესი სრულად გაათავისუფლოს გადასახადებისგან. მოსახლეობაზე ხელისუფლების ზრუნვასა და „ლელოს“ მხრიდან მედიასაშუალებებისთვის ონლაინკაზინოების რეკლამირების აკრძალვაზე წუხილს შორის ტოლობის გავლება ნამდვილად გაგვიჭირდება, – აცხადებს დავით ქართველიშვილი.

ექსპერტი ამირან სალუქვაძე ამბობს, რომ ამ ოპოზიციისგან ხალხსა და სოციალური პრობლემების მოგვარებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე ზრუნვა მოსალოდნელი არ არის.

ამირან სალუქვაძე

– ძალიან კარგად ესმის ნებისმიერ ბიზნესმენს და მათ შორის საბა ბუაძის პოლიტიკურ ლიდერს ხაზარაძესა და დანარჩენებს, ვინც ყოფილი ბანკირები არიან, რომ ეს მუდმივი რყევები, რაც ქვეყანაშია, აზიანებს ეკონომიკურ გარემოს. პარტია „ლელოს“ ლიდერებს ალბათ ერთი მხრივ აქვთ ინტერესები აზარტული თამაშების ბიზნესში და მეორე მხრივ მოაკლდათ შემოსავლები, მაგრამ იმ ათიათასობით ადამიანის ბედი არ აღელვებთ, რომლებიც ონლაინკაზინოებით დაზარალდნენ.

თუ ასე არაა, მაშინ იმ „მარშალის გეგმიდან“, რომელიც ეკონომიკური განვითარების კუთხით შეადგინეს, ამოერჩიათ, თავად როგორ წარმოედგინათ ამ საკითხის დარეგულირება და თამაშზე დამოკიდებული ადამიანების პრობლემის მოგვარება.

იქ ამაზე არსად არ არის საუბარი. ამით ჩანს, რომ ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიაც აცდენილი იყო რეალობას და მათ შეთავაზებებს გეგმასაც ვერ დავარქმევ, ეს იყო სადღეგრძელოები. პრემიერის ეს ინიციატივა პირდაპირ შეეხო მათ ინტერესებს და მაშინვე გამოვარდნენ საპირისპირო შემოთავაზებით.

მედიის გადასახადებიდან გათავისუფლება არანაირი პერიოდით არ უნდა მოხდეს, მონახონ სხვა შემოსავლები. არავინ უშლის ბიზნესს გადაწყვიტონ, სად წაიღონ საკუთარი რეკლამა, – აღნიშნა ამირან სალუქვაძემ.

მისივე თქმით, სამედიცინო სფეროს ექსპერტების კომპეტენციაში არ შედის თუ რომელი მედიკამენტი რა დანიშნულებისაა და რა უნდა ღირდეს, თუმცა ხედავს, რომ პრემიერის პოზიცია ადამიანების სოციალურ პრობლემებზე ზრუნვის გამომხატველია.

– საუბარია რამდენიმე მიმართულებაზე. ერთი არის ის, რომ არ შეიძლება ერთ ხელში იყოს მედიკამენტები, საავადმყოფოები და ა.შ. ეს იწვევს იმას, რომ მიდიხართ ექიმთან და ის ექიმი გიწერთ კონკრეტულ წამალს, რომელიც უნდა იყიდოთ კონკრეტულ აფთიაქში. ამ სფეროს დარეგულირება მოხდება ისე, როგორც არის ეს წარმატებულ ევროპულ ქვეყნებში.

ასევე დარეგულირდება ის, რომ ექიმი როცა გამოწერს წამალს, ასევე უნდა დაწეროს მისი შემცვლელიც. ესენი იქნება პირველი ნაბიჯები და თუ ეს არ გამოიღებს სრულ შედეგს, გადაიდგმება სხვა ნაბიჯები.

რომელიმე წამალი, რომელიც თურქეთში, უკრაინაში თუ რუსეთში ღირს 1 ლარი, ჩვენთან არ უნდა ღირდეს 3 ლარი და არსებობს გონივრული ფასნამატები, – აღნიშნა ამირან სალუქვაძემ.

დეპუტატ ალუდა ღუდუშაურის აზრით, უმჯობესია, „ლელომ“ პოლიტიკისგან დაცლილი განცხადება გააკეთოს.

– ძალიან უხერხულია, რომ „ლელოს“ წარმომადგენლები პარალელს ავლებენ გაუბედურებულ ოჯახებსა და კრიტიკული მედიის დაფინანსებას შორის. მე მათ ვურჩევდი, რომ ამ შემთხვევაში მაინც პოლიტიკისგან დაცლილი განცხადება გააკეთონ, ვიწრო პრიზმიდან გათავისუფლდნენ და ფოკუსი ჩვენი მოქალაქეების საჭიროებებზე გააკეთონ. მე დარწმუნებული ვარ, მათ ძალიან კარგად ესმით, რომ ეს, რაზეც საუბარია, ძალიან დადებითი ინიციატივაა.

# „სააკაშვილი ძალიან კარგად გრძნობს, რა აქვს ჩადენილი“

## გელა ნიკოლაიშვილი: „მესამე პრეზიდენტს უამრავი ადამიანი ჰყავს შეწყალებული, მაგრამ უფლებამოსილების გადამეტებას ბრალად არავინ სდებს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი და ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი პასუხობს.**

***– ბატონო გელა, სამართალმცოდნე, ადვოკატი და უფლებადამცველი ბრძანდებით. ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარე ყველა პროცესზე საქმის კურსში ხართ. ამჯერად სასამართლოს განსასჯელის ამპლუაში ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. როგორ მოუსმინეთ სააკაშვილის პოლიტიკურ მონოლოგს სასამართლო პროცესზე?***

– მოსალოდნელი იყო, რომ დღეს სააკაშვილი პოლიტიკურ განცხადებებს გააკეთებდა. აზრი ორად გაიყო, საშუალება უნდა მიეცათ, პირველივე სხდომაზე პოლიტიკური განცხადებები გაეკეთებინა თუ არა. თუ ასეთი განცხადებების გაკეთების სურვილი ჰქონდა (რა თქმა უნდა, ექნებოდა), ამის საშუალება უნდა მიეცათ. მან საათი და 40 წუთი ილაპარაკა, რაც მიუთითებს იმაზე, როგორი ნაშიმშილარი და ენერგიაგამოცლილია.

***– შეიძლება, საზოგადოების წინაშე აქციებზე ღიად გამოსვლისა და განცხადებების კეთების შიმშილი ჰქონდა.***

– შეიძლება, თუმცა მას გამოსვლის შიმშილი არასდროს ჰქონია. სანამ დააკავებდნენ, ნიკა გვარამიას ეთერში მუდამ იყო. როცა დაიკავეს, წერილებს წერდა და აგზავნიდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემა სააკაშვილს არასოდეს ჰქონია.

მას სასამართლოზეც მიეცა ამის საშუალება. ეჭვი არ მეპარება, სააკაშვილს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების მცდელობა მომავალშიც ექნება, რათა სამართლებრივ საკითხებს თავი აარიდოს და ყურადღება პოლიტიკურ საკითხებზე გადაიტანოს.

აქ მხოლოდ ერთი მომენტი იყო მნიშვნელოვანი – 7 ნოემბერთან მე რა შუაში ვარ, ტელევიზორში ვუყურებდი და ყველაფერს მინისტრი აკონტროლებდაო.

***– ისიც თქვა, 7 ნოემბერი ჩემთვის უსიამოვნოდ გასახსენებელია, ამიტომ გადავდექი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ავიღეო. 7 ნოემბრის საქმე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ სცდება?***

– საქმეც ეგაა. დღეს სასამართლო იხილავს სწორედ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს. მას უნდა, ეს და ყველა სხვა პრობლემა პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანოს, რაც არ გამოვა. გასაგებია, ეს იყო პირველი მიმართვა, მაგრამ ყოველ ჯერზე, როდესაც პოლიტიკური განცხადების გაკეთების მცდელობა ექნება, სასამართლომ სააკაშვილი უნდა შეაჩეროს, სამართლებრივ ჭრილში დაიბრუნოს და არგუმენტებით უნდა იყოს საუბარი.

თანაც ეს შესავალი სიტყვაა. ამის შემდეგ, სანამ დასკვნითი სიტყვის თქმის დრო არ დადგება, მხარეებს სიტყვით გამოსვლის საშუალება საერთოდ არ ექნებათ. მათ მხოლოდ მოწმეებისთვის კითხვის დასმა უფლება აქვთ. დანარჩენი დასკვნით სიტყვაში შეუძლიათ თქვან პროკურატურამაც და დაცვის მხარემაც.

***– როგორ შეატყვეთ, სააკაშვილს გააზრებული აქვს და გრძნობს პასუხისმგებლობას იმ ყველაფერზე, რაც მისი პრეზიდენტობის პერიოდში ხდებოდა?***

– ვფიქრობ, ძალიან კარგად გრძნობს, რა აქვს ჩადენილი. ამიტომაც ცდილობს პოლიტიკურ მსჯელობას, მთლიანად ცდილობს, სასამართლო პროცესი პოლიტიკურ კონტექსტში გადაიყვანოს, რაც არ გამოვა, რადგან სასამართლო არ არის ის ადგილი, სადაც მიტინგები უნდა ჩაატარო და პოლიტიკური გამოსვლები გქონდეს. ამის საშუალება მას, სავარაუდოდ, აღარ ექნება.

ვფიქრობ, ყველაფერი ძალიან კარგად ესმოდა, რასაც აკეთებდა. ეს იყო პროპაგანდის მცდელობა, რაშიც ახალი არაფერია. ვინც სააკაშვილის სექტის წევრია, მას ყველაფერზე ტაშს დაუკრავს. სხვებმა იციან, რომ ეს იყო პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის მცდელობები.

***– სააკაშვილმა თქვა, გირგვლიანის საქმე არასწორად დაარქვეს, ჩემი უფლებამოსილების განხორციელების გამო მედავებიანო.***

– გირგვლიანის საქმეზე სამი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და, თუ მას ამ საქმეზე პრეტენზია ჰქონდა, შეეძლო, სტრასბურის სასამართლოში გაესაჩივრებინა, რაც არ გააკეთა. სააკაშვილს იმიტომ კი არ ედავებიან, რომ თავისი უფლებამოსილება განახორციელა და პატიმრები შეიწყალა, არამედ იმის გამო, რომ მკვლელებთან წინასწარი შეთანხმებით დადო გარიგება, რათა მათ სხვები არ ემხილებინათ, ყველაფერი თავის თავზე აეღოთ. ამისთვის თითოეული 100 ათას ლარს მიიღებდა (მიიღეს კიდეც) და ამის შემდეგ შეიწყალებდნენ.

ანუ სააკაშვილმა შეწყალების დისკრეციული უფლება ბოროტად გამოიყენა. გარდა გირგვლიანის მკვლელებისა, მას უამრავი ადამიანი ჰყავს შეწყალებული, მაგრამ უფლებამოსილების გადამეტებას ბრალად არავინ სდებს.

***– როგორ ფიქრობთ, ევროსასამართლოში რატომ არ იჩივლა?***

– არ ვიცი. როგორც ჩანს, სერიოზულად არ მოეკიდა მაშინ, როდესაც განაჩენი დადგა, როდესაც უკრაინაში ჯერ კიდევ პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა, ან მაშინ არ ფიქრობდა იმაზე, რომ ოდესღაც საქართველოში გასამართლდებოდა. რაც მთავარია, სტრასბურის სასამართლოს თვითონ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, რომ გირგვლიანის საქმეში პრეზიდენტიც იყო გარეული.

აქედან გამომდინარე, როგორც ჩანს, იმედი არ ჰქონდა, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ევროსასამართლო მის სასარგებლოდ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა.

***– ორი დღის წინ ერთ-ერთ ტელეარხზე მოსამართლე ორკოდაშვილი იყო მიწვეული, რომელმაც გარკვეულ საქმეზე, რომელსაც თვითონ განიხილავს, წინასწარ განმარტებები გააკეთა. თქვენ რას იტყვით, მოსამართლეს შეუძლია, თავის განსახილველ საქმეზე წინასწარ პოზიცია დააფიქსიროს ან განსასჯელთან დამოკიდებულებაზე ისაუბროს?***

– მე მოსამართლის ინტერვიუს ზოგიერთი ნაწილი ფეისბუქზე ვნახე. იქ არ მინახავს ისეთი მომენტები, რომ სააკაშვილისთვის წაყენებული ბრალდების საქმეზე მოსამართლეს რაიმე პოზიცია დაეფიქსირებინა. ის ზოგადად აფიქსირებდა პოზიციას, მის მიმართ მოპყრობა ჩემთვის მიუღებელი და მძიმე საყურებელი იყოო, თუმცა, რა კადრებიც ვნახეთ, იქ არაფერი მძიმე საყურებელი არ იყო. ადამიანი ხელში ატაცებული მიჰყავდათ, რადგან არ შედიოდა. ნანახი კადრებით ჩანდა, რომ სააკაშვილისთვის არც ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებიათ და არც სიტყვიერი. ის ამბობს, ასე არ იყოო, მაგრამ, ჩვენ რაც ვნახეთ, იმაზე ვლაპარაკობ.

ზოგადად, რა თქმა უნდა, სასურველი არ არის, მით უფრო, ასეთი გახმაურებული საქმის განხილვის წინ, მოსამართლემ ინტერვიუები მისცეს, მით უმეტეს – მხარეს. „ტვ პირველი“, ფაქტობრივად, მხარეა. თუ მოსამართლე პირის ბრალდებასთან დაკავშირებით პოზიციას გამოთქვამდა, რა თქმა უნდა, აცილების საფუძველი იქნებოდა, მაგრამ, მე რასაც ვუსმინე, იქ საქმესთან დაკავშირებით მას პოზიცია არ გამოუთქვამს.

***– ანუ მოსამართლეს საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია?***

– მე არ მინახავს. რაც შეეხება კეთილგანწყობას (ამაზეც ედავებიან), ძალიან ბევრი მოსამართლე ხშირ შემთხვევაში ბრალდებულების მიმართ ადამიანურ კეთილგანწყობას გამოხატავს, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, ისეთი გადაწყვეტილება გამოიტანოს, როგორი გადაწყვეტილების გამოტანის საშუალებასაც იძლევა წარდგენილი მტკიცებულებები. დარწმუნებული ვარ, ამ საქმეზე სასამართლოში ყველა მტკიცებულებაა წარდგენილი, რომლებიც საკმარისი იქნება სწორი განაჩენის გამოტანისთვის. თუ საკმარისი მტკიცებულებები არ არის წარდგენილი, მაშინ ეს პროკურატურის ბრალი იქნება და არა – მოსამართლეების.

***– მოსამართლემ გამოთქვა აზრი სააკაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების გაუქმებაზე და თქვა, რომ ეს ბარიერი მოხსნილი იყო და პრეზიდენტს შეეძლო, შეეწყალებინა. ეს განაცხადი თქვენ როგორ გაიგეთ?***

– როგორც ჩანს, მოსამართლე ზედმეტად თავისმართლების რეჟიმში გადავიდა, როდესაც ნაციონალური არხები მკვლელს უწოდებდნენ. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ეს ცოტა ზედმეტი იყო, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ორი მომენტია. პირველი – თვითონ პროკურატურამ იშუამდგომლა, პატიმრობა გაეუქმებინათ, მოსამართლემ კი შუამდგომლობა დაიკმაყოფილა. ამიტომ მოსამართლეებს განსაკუთრებული არაფერი (იმ სამეულს, რომელიც საქმეს განიხილავს) არ გაუკეთებიათ. პროკურატურის შუამდგომლობა ჩვეულებრივად დააკმაყოფილეს.

რატომ იშუამდგომლა პროკურატურამ, რომ სააკაშვილისთვის წინასწარი პატიმრობა გაეუქმებინათ, ესეც ძალიან მარტივია. როგორც წესი, როდესაც პირს სხვა საქმეზე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა აქვს შერჩეული, უკვე მსჯავრი აქვს დადებული და სასჯელს იხდის, მიღებული პრაქტიკაა, პროკურატურა ახალ საქმეებზე პატიმრობას აღარ ითხოვს. რადგან სააკაშვილისთვის დაუსწრებლად შეფარდებული იყო პატიმრობა, ჩამოვიდა და დაპატიმრებული იყო, ამიტომ, ბუნებრივია, პროკურატურამ იმ საქმეებზე პატიმრობის გაუქმება მოითხოვა.

მოსამართლემ რომ თქვა, თუ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი შეიწყალებს, მერე ის პატიმრობაში აღარ იქნებაო, ეს სწორი არ არის, რადგან სააკაშვილი, იმ საქმის გარდა, კიდევ სხვა საქმეზეცაა ბრალდებული. მაშინ იმ საქმეებზეც უნდა მოუხსნან პატიმრობა. გარდა ამისა, სააკაშვილს კიდევ ახალი ბრალი აქვს წაყენებული საზღვრის უკანონო კვეთაზე. იქაც პროკურატურას შეუძლია პატიმრობის შეფარდების მოთხოვნა.

ამიტომ, რეალურად, სალომე ზურაბიშვილმა სააკაშვილი რომ შეიწყალოს ორ ძველ და ერთ ახალ საქმეზე, თავისუფლად იქნება შეფარდებული პატიმრობა. თუ ის იქნებოდა შეწყალებული, მაშინ პროკურატურა კი არ მოითხოვდა, ამ საქმეზე პატიმრობა გააუქმეთო, პირიქით, პატიმრობის შეფარდებას მოითხოვდა. ეს ყველაფერი თეორიაა და არ ვიცი, რატომ თქვა მოსამართლემ. რეალური სიტუაცია ასეთია.

# გალის ქართველებს ახალ დაბრკოლებებს უქმნიან

## მოსკოვი აფხაზეთში თურქული გავლენის ზრდის გამო აფორიაქდა

მარიამ მჭედლიშვილი

**ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მდგომარეობა, როგორც ჩანს, ბჟანია-ანქვაბის გუნდის მართვის დროს არ გაუმჯობესებულა.**

უფრო მეტიც, იანვრიდან გალელებს ახალ დაბრკოლებას უქმნიან. 2022 წლის 1 იანვარს ვადა გასდის დოკუმენტებს (ფორმა ნომერი 9), რომლებითაც მოსახლეობა ენგურის გამყოფ ხაზზე მოძრაობდა. გალის რაიონის მცხოვრებლებს მოუწოდებენ, მოაგროვონ საბუთები და გააკეთონ განაცხადი აფხაზეთის ე.წ. პასპორტის ან ბინადრობის მოწმობის მისაღებად.

30.000 გალელიდან ფორმა ნომერი 9 აიღო 5.000-მა პირმა, პასპორტი – 1049 ადამიანმა, 19.000-ზე მეტს კი ბინადრობის მოწმობა აქვს.

ბინადრობის მოწმობა დისკრიმინაციულია. ამ საბუთით შეუძლებელია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა და არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა ამ დოკუმენტის აღებაც არ არის მარტივი. იმას, ვისაც აფხაზეთში 10 წელიწადი არ უცხოვრია, ბინადრობის მოწმობას არ აძლევენ.

სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, ქართველებისთვის დოკუმენტების გაცემის საკითხის მოგვარების პირობას ბჟანია იძლეოდა. აფხაზეთში მცხოვრები ქართველების უფლებები ილახება და მათ მშობლიურ ენაზე სწავლის საშუალებაც წაართვეს.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ ოკუპირებულ რეგიონში პოლიტიკური მღელვარეობაა, ჩამოყალიბდა ახალი ოპოზიციური ერთობა, ასევე შეინიშნება ეკონომიკური კრიზისი, მძიმე სოციალური მდგომარეობა და ენერგეტიკული ჩიხი.

საგულისხმოა, რომ „აფხაზეთში მორიგ პოლიტიკურ კრიზისზე“ კრემლთან დაახლოებული ანალიტიკოსებიც ალაპარაკდნენ.

ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ აფხაზეთში შეიქმნა „სახალხო-პატრიოტული კავშირი“, რომელიც აქტიურ ქმედებებზე გადადის. რუსი ექსპერტები აფხაზეთში ფერად რევოლუციას პროგნოზირებენ.

მათი დასკვნით, მდგომარეობას ამძაფრებს საეკლესიო კრიზისიც – აფხაზი სამღვდელოების ნაწილი კონსტანტინეპოლის ეკლესიას ემხრობა, ნაწილი – მოსკოვის საპატრიარქოს.

რუს ექსპერტებს თურქული გავლენა აღელვებთ. მათი მტკიცებით, აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ადევნებენ თვალს ანკარაში. თურქეთში არის მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა. აფხაზი მაჰაჯირების შთამომავლები გათურქდნენ, თუმცა აფხაზურ ფესვებს არ ივიწყებენ და მათი გამოყენება საჭირო მომენტში შესაძლებელია.

რუსი ექსპერტები წინასწარმეტყველებენ თურქული ფაქტორის გაძლიერებას აფხაზეთში და ამბობენ, რომ რუსეთის მიერ გატარებული ნაკლებად ეფექტური პოლიტიკისა და ანკარის ამბიციების ფონზე ეს მოსალოდნელია.

ამ სიტუაციას ოკუპირებული რესპუბლიკა ახლადდანიშნული ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრით ხვდება.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის მოქმედი სახელმწიფო მრჩეველი ახალგაზრდა ინალ არძინბაა, რომელსაც წინა წლებში ეკავა მაღალი თანამდებობები კრემლსა და რუსეთის საპატრიარქოში.

ინალ არძინბამ შეხვედრა გამართა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მათ დახმარება აღუთქვა.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, გაეროს განვითარების საბჭოს, დანიის დევნილთა ფონდსა და სხვა ორგანიზაციებს არძინბამ აფხაზეთში ნორმალური მუშაობის პერსპექტივა დაუსახა:

– ველით სერიოზულ ჰუმანიტარულ შედეგებს, აპოლიტიკურობას, ჰუმანიზმსა და მაქსიმალურ შედეგიანობას. რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, – განუცხადა საერთაშორისო მისიებს არძინბამ.

მისი თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციებს აფხაზეთში საქმიანობის გამოცდილება დაუგროვდათ.

– ბევრი თქვენგანი მუშაობს ომის დამთავრების დროიდან. ჩვენს მოსახლეობას სწორედ მაშინ გაუჩნდა მოთხოვნილება. მოთხოვნილებები ცარიელ ადგილზე არ წარმოქმნილა. ისინი გაჩნდა საქართველოს აგრესიის შედეგად, – დასძინა არძინბამ.

არძინბას გამინისტრებამდე ცოტა ხნით ადრე მისი წინამორბედი დაურ კოვე ევროკავშირის სპეცწარმომადგენელსა და სხვა ევროპელებს შეხვდა. მათ ისაუბრეს ევროკავშირის ახალ პროგრამაზე, რომელიც გულისხმობს აფხაზი ახალგაზრდების ჩართვას საერთაშორისო და საგანმანათლებლო პროექტებში.

არძინბამ აფხაზ ახალგაზრდებზე ზრუნვისაკენ წითელ ჯვარსა და შეხვედრის სხვა მონაწილეებს მოუწოდა.

დიდი ალბათობით, არძინბას რუსული მისია სოხუმში ფართო იქნება – აფხაზეთის ხელისუფლებაში უფრო მაღალ თანამდებობაზე მოსვლამდე მან ოკუპირებულ აფხაზეთში ევროკავშირისა და სხვა დასავლური სტრუქტურების პოლიტიკური ფუნქცია და თურქული გავლენა უნდა შეაკავოს.

# „თბილისის ტრეიდერთა კლუბმა“ და „ფორექს ინვესტმა“ მოქალაქეებს 12 მილიონი ლარი მოჰპარეს

პროკურატურამ თაღლითურად მოქმედი დანაშაულებრივი ჯგუფი გამოავლინა და დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლებისა და ფულის გათეთრების ფაქტზე დანაშაულებრივი სქემის ორგანიზატორები დააკავა.

როგორც პროკურორმა თამარ იაკობიძემ გუშინ, 30 ნოემბერს, ბრიფინგზე განმარტა, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორებმა 2014 წელს დააფუძნეს შპს „თბილისის ტრეიდერთა კლუბი“ და შპს „ფორექს ინვესტი“. აღნიშნული კომპანიების საქმიანობის სფეროდ საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე ფინანსური აქტივებით ვაჭრობა განისაზღვრა.

– ბრალდებულებმა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმსა და მარნეულში გახსნეს კომპანიის ფილიალები, რომელთა წარმომადგენლებიც, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მითითებით, ხვდებოდნენ და არწმუნებდნენ მოქალაქეებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობით შეეძლოთ მოგების მიღება და ნებისმიერ დროს თავის ბალანსზე არსებული მოგებული თანხის განაღდება. ატყუებდნენ, რომ კომპანია წარმოადგენდა შუამავალ რგოლს და მათ წინაშე ანგარიშვალდებულნი იქნებოდნენ უცხოელი პარტნიორები – შვეიცარიული ბანკი და ბრიტანული კომპანია.

მათივე განმარტებით, მოქალაქეთა მიერ კომპანიების საბანკო ანგარიშებზე შეტანილი ფულადი თანხები გადაირიცხებოდა ზემოაღნიშნული უცხოური კომპანიების ანგარიშებზე და ტრეიდერის ნებართვის გარეშე, თანხებთან წვდომა არავის ექნებოდა.

ბრალდებულებს ხსენებულ საერთაშორისო კომპანიებთან არანაირი სახის ურთიერთობა არ გააჩნდათ და მოქალაქეთა მიერ შეტანილი ფულადი თანხის განკარგვა ხდებოდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ.

4 წლის განმავლობაში – 2014-2018 წლებში, დაახლოებით 3.000-მდე მოქალაქის მიერ კომპანიის ანგარიშებზე სავაჭროდ შეტანილმა თანხამ შეადგინა 27.533. 986 ლარი, საიდანაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მოტყუებით დაეუფლნენ 12.730.434 ლარს.

ბრალდებულებმა, მიღებული უკანონო თანხებისთვის კანონიერი სახის მიცემისა და მისი წარმოშობის დაფარვის მიზნით ფულადი თანხა მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა კომპანიების ანგარიშებზე გადარიცხეს, საიდანაც დივიდენდისა და ხელფასის სახით გაიტანეს.

დაკავებულებს ბრალდება – თაღლითობის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით ითვალისწინებს. სასამართლომ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა უკვე შეუფარდა.

დანაშაულებრივი სქემის სხვა მონაწილეთა დადგენა-გამოვლენის მიზნით გამოძიება გრძელდება, – განაცხადა პროკურორმა.

# პოლიციამ იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს. ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით ჯამში დაკავებულია 10 პირი.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ჩამოთვლილ ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის მე-3, მე-4 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1962 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კ.რ. თელავში დააკავეს. პოლიციამ მისი საცხოვრებელი სახლის, ეზოსა და დამხმარე ნაგებობების ჩხრეკისას არარეგისტრირებული მცირეკალიბრიანი შაშხანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

1944 წელს დაბადებული პ.ე. კი სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ახალქალაქში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო „ტტ“-ს სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და 11 საბრძოლო ვაზნა.

რაც შეეხება 1983 წელს დაბადებულ ი.ი.-ს, იგი ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის კუთვნილ საქონლის ფერმაში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „მოსინის“ კონსტრუქციის ცეცხლსასროლი იარაღი.

მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ დაკავებული კიდევ ერთი პირის – 1977 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი მ.მ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ცეცხლსასროლი პისტოლეტი.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1957 წელს დაბადებული ე.ნ. მარტვილის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში მდებარე ხის სათავსოდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 83 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.

## 10 პირი დააკავეს

მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა კი ბრალდებულის – 1997 წელს დაბადებული გ.ფ. მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, შაშხანა, 1 მჭიდი და 13 საბრძოლო ვაზნა.

კიდევ ერთი ბრალდებული – 1982 წელს დაბადებული გ.ჭ. მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა მესტიის რაიონის ერთ-ერთ სოფელში დააკავეს.

პოლიციამ, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი, 23 საბრძოლო ვაზნა და შაშხანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ზ.გ. ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა ზ.გ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს 2 ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 16 საბრძოლო ვაზნა.

რაც შეეხება 1986 წელს დაბადებული გ.წ.-ს, იგი ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ქობულეთში დააკავეს. ანალოგიური დანაშაულისთვის წარსულში ნასამართლევი გ.წ.-ს საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად პოლიციამ ნივთმტკიცების სახით ამოიღო „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, მჭიდი და 7 საბრძოლო ვაზნა.

ასევე, წარსულში ნასამართლევი პირი – 1992 წელს დაბადებული ლ.წ. მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ავტომობილის ჩხრეკისას 2 ცალი „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდები ამოიღეს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# „ზურაბი ანასტასიას მკვლელობასთან კავშირშია“

## რას ამბობს შატალოვას დედა



ანასტასია შატალოვას დედა და ადვოკატი ახალგაზრდა ქალის მკვლელობის საქმის დამკვეთის დასჯას ითხოვენ. ოჯახი და მათი უფლებადამცველი ფიქრობენ, რომ დაკავებულები მხოლოდ შემსრულებლები არიან და დანაშაულის უკან სხვა პიროვნება დგას.

ანასტასია შატალოვას ოჯახის ადვოკატის განცხადებით, რამდენიმე დღის წინ წარადგინეს ფაქტები, რომლებიც დაკავშირებული იყო საეჭვო მანქანებთან. მისივე თქმით, ოჯახის მიზანი არა მხოლოდ უშუალოდ მკვლელობაში ბრალდებულის დასჯა, არამედ მკვლელობის დამკვეთის დასჯაც არის.

– მე მივაწოდე გამოძიებას სისხლის სამართლის საქმის ის მასალები, რომლებიც უკავშირდება ზურაბ ბერიძის მხრიდან შესაძლო ძალადობის ფაქტებს, რაზეც ბათუმის საქალაქო სასამართლოში უკვე დაწყებულია წარმოება და ბერიძე ბრალდებულია, – განაცხადა პაატა შავაძემ.

მოკლულის დედა არ გამორიცხავს, რომ მკვლელობის საქმესთან შემხებლობა ჰქონდეს ბათუმის ყოფილ ვიცემერს, რომელთანაც შატალოვას საერთო შვილი ჰყავს.

– მე არ ვიცი, რა შეიძლებოდა გამხდარიყო მკვლელობის მიზანი, თუმცა ზურაბი ხშირად ურეკავდა ანასტასიას. განხილვის მიზანი იყო, რომ ბავშვი არ წაეყვანა. მახსოვს, რომ ანასტასია ბოლო პერიოდში მეუბნებოდა, რომ ის სახლიდანაც ხშირად არ გადიოდა. არ მქონია მოლოდინი, რომ რაიმე ცუდი მოხდებოდა, მას მტრები არ ჰყოლია, ვფიქრობ, ზურაბი ამ საქმეში ფიგურირებს, რადგან მის წინააღმდეგ ბევრი ფაქტია, კონკრეტულად ამ მომენტისთვის მან მიიღო ყველაფერი, რაც სურდა, მათ შორის ბავშვიც, – აცხადებს ანასტასია შატალოვას დედა.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის ანასტასია შატალოვა გაზაფხულის ქუჩაზე 17 ოქტომბერს, გვიან ღამით მოკლეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

# „არ ჩამოდიოდა და ძალით ჩამოიყვანეს“

## რატომ დააკავეს ბესიკ თამლიანი

20 ივნისის საქმეზე ბრალდებული ბესიკ თამლიანი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლითაა დაკავებული.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, თამლიანის წინააღმდეგ ძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 353-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს. დანაშაული ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ბესიკ თამლიანი 29 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან დააკავეს. ის მანდატურებისთვის განკუთვნილი ჯიხურის სახურავზე იყო ასული. სამართალდამცავების მოწოდების მიუხედავად, თამლიანი არ ჩამოდიოდა, რის შემდეგაც უკვე სამართალდამცავებმა მისი ძალით ჩამოყვანა ცადეს.

ამასთან, ბესიკ თამლიანი ბრალდებულია 20 ივნისის საქმეზე და ის თავისუფლებაში 4.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ იმყოფება.

თამლიანს ბრალი ედება ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობაში, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა. აღნიშნული ბრალი 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# შსს-ს სასაზღვრო ავიაციამ თუშეთის მიმართულებით სამოქალაქო რეისები განაახლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ავიაციამ ალვანიდან თუშეთის მიმართულებით რეგულარული რეისები განაახლა. ვერტმფრენმა განახლებული სამოქალაქო რეისით სოფელ ომალოში პირველი მგზავრები უკვე გადაიყვანა.

სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი საავტომობილო გზის ამოქმედებამდე, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, ომალოსა და მიმდებარე სოფლებში რეგულარულად იფრენს და, მესაზღვრეებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობასაც მოემსახურება.

ვერტმფრენის რეისები კოვიდრეგულაციების სრული დაცვით სრულდება.

რეისების დანიშვნის შედეგად, თუშეთში, ზამთრის პერიოდში მოსახლეების რაოდენობა გაიზარდა. მათ, ასევე, შესაძლებლობა აქვთ საავტომობილო გზის გახსნამდე განაახლონ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას.

# პროკურატურამ ძიება შსს-ს 9 და პენიტენციარული სამსახურის 2 თანამშრომლის მიმართ დაიწყო

2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 საქმეზე 11 პირის მიმართ, საიდანაც 9 პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო 2 პირი სპეციალური პენიტენციარული სამსახურის თანამშრომელია.

როგორც „ინტერპრესნიუსის“ მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან გამოთხოვილ ინფორმაციაშია აღნიშნული, სპეციალური პენიტენციარული სამსახურის 2 თანამშრომლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს სამსახურში დადგენილი წესის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართ კი სისხლისსამართლებრივი დევნა უმეტესად სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილითაა დაწყებული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს. ორ შემთხვევაში ასევე საქმე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლის მეორე ნაწილის სხვადასხვა ქვეპუნქტთან, რაც დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს.

გარდა ამისა, 2021 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაშია სულ სისხლის სამართლის 595 საქმე.

აღნიშნული 595 სისხლის სამართლის საქმიდან: 499 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტზე; 89 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს სპეციალური პენიტენციარული სამსახურის თანამშრომლების მიერ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტზე; 4 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტზე; 2 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომლების მიერ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტზე; 1 სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის მიერ სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ფაქტზე.

# შსს-ს თანამშრომლებს საგზაო უსაფრთხოების საკითხებზე ტრენინგი ჩაუტარდათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შსს-ს აკადემიის თანამშრომლებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე გადამზადების კურსი ჩაუტარდათ.

ტრენინგს პოლონეთის ქალაქ კრაკოვის საპოლიციო და სახანძრო-სამაშველო ძალების წარმომადგენლები უძღვებოდნენ.

სწავლების თეორიული ნაწილი შსს-ს აკადემიაში, ხოლო პრაქტიკული ნაწილი – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე გაიმართა. ტრენინგის მონაწილეებმა განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებზე რეაგირება და დაშავებული პირებისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა; პოლონეთის გამოცდილება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით; საპოლიციო საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას; საგზაო შემთხვევის დროს კოორდინაცია საპოლიციო და სამაშველო დანაყოფებს შორის და სხვ.

სწავლების დახურვის ღონისძიებას პოლონეთის პოლიციის მეკავშირე ოფიცერი საქართველოში, შსს-ს აკადემიის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. მათ ტრენინგის მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადასცეს.

სწავლება პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის „ტრენინგი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების, საქართველოს საპატრულო პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინსტიტუციონალური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში ჩატარდა.

## აზერბაიჯანში სამხედრო ვერტმფრენი ჩამოვარდა

### 14 ადამიანი დაიღუპა

აზერბაიჯანში საწვრთნელი ფრენის დროს სასაზღვრო სამსახურის ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა, რის შედეგადაც დაიღუპა 14 და დაშავდა 2 ადამიანი.

– ჩვენი ვერტმფრენი ავარიულად დაეშვა გარეჰეიბათის საავიაციო პოლიგონზე სავარჯიშო ფრენების შესრულებისას, – განაცხადა სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის უფროსის მოადგილე ილჰამ მეჰდიევმა.

კატასტროფის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

მომხდართან დაკავშირებით აზერბაიჯანის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

## საბერძნეთში 60 წელზე უფროსი მოსახლეობის აცრა სავალდებულო ხდება



საბერძნეთში 60 წლის ზემოთ ასაკის მოქალაქეებისთვის ვაქცინაცია სავალდებულო ხდება და არავაქცინირებული პირები თვეში 100 ევროს ოდენობის თანხით დაჯარიმდებიან.

– 60 წლის ასაკიდან საბერძნეთის მოქალაქეებმა, რომლებიც ჯერჯერობით ვაქცინირებულები არ არიან, ასაცრელად ვიზიტი 16 იანვრამდე უნდა დაჯავშნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ყოველ თვეში 100 ევროთი დაჯარიმება ემუქრებათ, – აღნიშნა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა კირიაკოს მიცოტაკისმა.

საბერძნეთში, სადაც დაახლოებით 11 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, სრულად ვაქცინირებულია მოსახლეობის 63%.

ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, ამ დრომდე 60 წელზე უფროსი ასაკის 520.000-მდე მოქალაქე აუცრელია.

## ესპანეთში ომიკრონის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა

ესპანეთში კორონავირუსის ახალი, „ომიკრონ“ შტამის პირველი შემთხვევა გამოვლინდა.

„მადრიდის გრეგორიო მარანიონას საავადმყოფოს მიკრობიოლოგიის სამსახური იუწყება, რომ ესპანეთში კორონავირუსის „ომიკრონ“ შტამის პირველი შემთხვევა გამოვლინდა. საუბარია მამაკაცზე, რომელმაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იმოგზაურა“, – ნათქვამია „ტვიტერით“ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საავადმყოფოში აღნიშნეს, რომ პაციენტი თავს კარგად გრძნობს.

პირველი შემთხვევის შესახებ იუწყებიან შვედეთშიც.

ჯანდაცვის სამმართველოში განაცხადეს, რომ შტამი დაუფიქსირდა მოგზაურს, რომელიც ცოტა ხნის წინ აფრიკის სამხრეთში იმყოფებოდა. აღნიშნული პირი სკონეს რეგიონში ცხოვრობს.

## საბერძნეთში მიწისძვრა მოხდა



საბერძნეთის კუნძულ იკარიას სანაპიროსთან 4,9 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. ინფორმაციას ევროპულ-ხმელთაშუა ზღვის სეისმოლოგიური ცენტრი ავრცელებს.

მისი ცნობით, ეპიცენტრი კუნძულ იკარიაზე მდებარე ქალაქ აგიოს კირიკოსიდან 31 კილომეტრის დაშორებით, 10 კილომეტრის სიღრმეზე მდებარეობდა.

დაზარალებულთა და შესაძლო ზარალის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ცუნამის საფრთხე არ გამოცხადებულა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ფეხმძიმე დეპუტატი საავადმყოფოში ველოსიპედით მივიდა და იმშობიარა

ახალი ზელანდიის პარლამენტის მშობიარე წევრი ჯული ენ გენტარი, რომელიც ტრანსპორტის პრობლემებზეა პასუხისმგებელი, ველინგტონის საავადმყოფოში ველოსიპედით მივიდა და იმშობიარა. ამის თაობაზე ინფორმაცია თავად ქალმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გაავრცელა.

41 წლის დეპუტატი, როდესაც ჭინთვები დაეწყო, ველოსიპედზე დაჯდა და დამოუკიდებლად მივიდა საავადმყოფოში. ერთ საათში მას სრულიად ჯანმრთელი გოგონა შეეძინა.

ფეისბუქში საკუთარ გვერდზე „მწვანეთა“ პარტიის წევრმა დაწერა: „ცხელი ამბები! დილის 03:04 საათზე ჩვენი ოჯახის ახალი წევრი დაიბადა. მშობიარობის დროს ველოსიპედით სეირნობას არ ვგეგმავდი, თუმცა სწორედ ეს მოხდა. ჭინთვები არც ისეთი ძლიერი იყო, როდესაც საავადმყოფოში წავედი, თუმცა ორი-სამი წუთის ინტერვალით გრძელდებოდა. დაუჯერებელია, მაგრამ ჩვენ გვყავს ჯანმრთელი და ბედნიერი გოგონა, რომელსაც ახლა სძინავს, ისევე, როგორც მამამისს“.



## შავი ლომი დასკვნითი მატჩებისთვის ემზადება

შავი ლომი „შევარდენის ბაზაზე“ შეკრებაზე შევიდა და რაგბი ევროპის სუპერთასის დეკემბრის კამპანიისთვის მზადებას შეუდგა.

ქართულ ფრენჩაიზს თამაშების გაწერილი გეგმა კოვიდპანდემიამ აურია და ახლადდაარსებულ ტურნირში ყველაზე ცოტა, 2 მატჩი აქვს ჩატარებული. შავმა ლომმა ოქტომბერში, ჯერ თბილისში, ისრაელის თელავივ ჰითს პირველი ტურის გამოტოვებულ მატჩში 33:10 სძლია. შემდეგ კი, მე-3 ტურის გადადებული თამაში პენზაში ლოკომოტივს მოუგო – 27:11. გუნდმა ორივე შემთხვევაში მოახერხა ბონუსის აღება, ქულათა მაქსიმუმით (2 თამაშიდან 10) აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-2 ადგილზეა და მხოლოდ კრასნოიარსკის ენისეის ჩამორჩება, რომელსაც 1 თამაშით მეტი აქვს ჩატარებული და 11 ქულა მოაგროვა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ფრენჩაიზს ენისეისთან 30 ოქტომბერს უნდა ეთამაშა, მაგრამ რუსეთში კოვიდსიტუაციის დამძიმების გამო ქვეყანამ საზღვრები ჩაკეტა და გუნდი სოჭში ვერ გაფრინდა. ეს შეხვედრა სავარაუდოდ 2022 წელს, ფლეი ოფების წინ გაიმართება.

რაც შეეხება მომავალ თამაშებს, შავი ლომი 4 დეკემბერს „ავჭალაზე“ რუსეთის ვიცეჩემპიონ ლოკომოტივ-პენზას მასპინძლობს, რომელმაც აქამდე ოთხივე შეხვედრა დათმო და მცირედი სხვაობით მარცხისთვის 1 ნუგეშის ქულა მხოლოდ თელავივ ჰითთან აიღო.

11 დეკემბერს კი იმავე „ავჭალაზე“ უკვე ენისეის დავუხვდებით და, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, ის გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

18 დეკემბერს მე-2 ტურის გადადებული მატჩია და შავი ლომი ფეთაჰ-თიქვაში თელავივ ჰითს ესტუმრება.

**ლევან მაისაშვილი:**

– სანაკრებო ფანჯრის შემდეგ პირველად შევიკრიბეთ. თუმცა, თავიდანვე იყო პროექტში ჩადებული, რომ თუ შავი ლომი იუქმებდა, ეს ბიჭები ნაკრებსა თუ საკუთარ გუნდებში ითამაშებდნენ. ასე რომ, სათამაშო პრაქტიკა ამ პერიოდში ყველას ჰქონდა. ფიზიკურად კარგად არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიჭებს აქვთ მიკროტრავმები. მთლიანობაში საგანგაშო არაფერია, ვეცდებით ყველანაირად მომზადებული გავიდეთ ლოკომოტივთან სათამაშოდ.

მეტოქისგან სიახლეებს არ ველოდებით. ეს გუნდი რასაც თამაშობს, უკვე გარკვეულია და შესწავლილი. ვიცით, სად აქვთ ძლიერი მხარეები და სად უჭირთ.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მატჩს დაესწრება გულშემატკივარი. მაყურებელი აღამაზებს თამაშს, უფრო მეტ ხიბლს აძლევს, პლუს, პასუხისმგებლობაც უფრო იზრდება.

შეგახსენებთ, ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციების 2-2 მოწინავე ნახევარფინალში გადის, სადაც პირველადგილოსნები მასპინძლები იქნებიან.

დასავლეთ კონფერენციაში 4 სრული ტური ჩატარდა და 19 ქულით პორტუგალიური ლუსიტანოსი ლიდერობს, მე-2 ადგილზე კი 11 ქულით ესპანური იბერიანზია.

**ლოკომოტივი-პენზასთან თამაშის წინ შავი ლომი შეკრებაზე ასეთი შემადგენლობით შევიდა:**

**ფორვარდები:** მიხეილ ორაგველიძე, გოგა ქადარია, ნიკა ხატიაშვილი; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ხუროშვილი, თენგიზ ზამთარაძე; გიორგი პერტაია, ნიკა პატარაია, ნიკა აბულაძე, მიხეილ წიკლაური; ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, მიხეილ ბაბუნაშვილი, იოსებ გუშარაშვილი; გიორგი თხილაიშვილი, ნიკო აფციაური, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, თორნიკე აქუბარდია;

**უკანა ხაზი:** თენგიზ პერანიძე, გიორგი ბეგაძე; გიორგი ბაბუნაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, ლუკა მატკავა; მერაბ შარიქაძე, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, გურამ ქანდაურაშვილი; აკაკი ტაბუცაძე, სანდრო სვანიძე, სანდრო თოდუა, ოთარ ლაშხი, მირიან მოდებაძე; ლაშა ხმალაძე.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## სახლში მჯდომ პენსიონერ ქალს მანქანა დაეჯახა

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ ბოლტონში 92 წლის პენსიონერი ქალის სახლში მანქანა შევარდა და მის პატრონს სერიოზული დაზიანებები მიაყენა.

კვირა დილას ქალი, რომლის ვინაობა უცნობი დარჩა, სახლში იჯდა. ერთ მომენტში მოულოდნელად მას დაეჯახა ბმვ-ს მარკის ავტომობილი, რომელმაც მისი სახლის კედელი შეანგრია.

პენსიონერმა ფეხების მძიმე დაზიანებები მიიღო და სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ავტომობილის მძღოლმა 39 წლის მამაკაცმა დაზიანებები თავის არეში მიიღო, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მამაკაცი მანქანის სახიფათოდ მართვის ბრალდებით იქნა დაკავებული.

## მეთევზემ ყველაზე დიდი ქარიყლაპია დაიჭირა და რეკორდი მოხსნა

ამერიკის მინესოტის შტატში მეთევზემ დაიჭირა უზარმაზარი ქარიყლაპია-მასკინონგი და 64 წლის რეკორდი მოხსნა.

27 წლის ნოლან სპრენგელერმა მოახერხა თევზის დაჭერა, რომლის წონამ 25,37 კილოგრამი შეადგინა.

– მაშინ მივხვდი, თუ როგორი უზარმაზარი იყო, როდესაც ის ბადიდან ამოვიყვანე, – იხსენებს სპრენგელერი, რომლის თქმით, თევზის სიგრძემ – 1,47 მეტრი, ხოლო სისქემ 74 სანტიმეტრი შეადგინა.

მანამდე ყველაზე დიდ მასკინონგად ითვლებოდა თევზი, რომელიც 24,49 კილოგრამს იწონიდა და რომელიც შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტმა 1957 წელს დაარეგისტრირა. ახალგაზრდა მეთევზეს იმედი აქვს, რომ მის ნადავლს მალე შტატის ახალ რეკორდად აღიარებენ და ამისთვის აუცილებელი ყველა საბუთი უკვე გააფორმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## გინეკოლოგი პაციენტებს ალტერნატიულ მკურნალობად სექსს სთავაზობდა

იტალიის ქალაქ ბარიში 60 წლის ექიმ-გინეკოლოგმა ჯოვანი მინიელომ ავადმყოფობების მკურნალობის ალტერნატიულ საშუალებას მიაგნო და ქალ პაციენტებს სამკურნალო სექსს სთავაზობდა.

მინიელო ფარული გამოძიების ობიექტი მას შემდეგ გახდა, რაც მისმა ერთ-ერთმა პაციენტმა სატელევიზიო პროგრამას საჩივრით მიმართა, რომ ექიმმა პაპილომა ვირუსისგან სექსით განკურნება შესთავაზა. მან გარყვნილი ექიმის მხილება მოითხოვა.

ქალმა განაცხადა, რომ დიდი ხნის განმავლობაში დაფეხმძიმებას ვერ ახერხებდა და გინეკოლოგთან მივიდა მიღებაზე. მისი თქმით, ექიმი უცნაურად იქცეოდა: მის მკერდს ეხებოდა და პირდაპირ ეუბნებოდა, რომ მისი პატარა მკერდი მოსწონდა. მინიელომ გამოკვლევა ჩაუტარა, ანალიზები აუღო და მალე აცნობა მას, რომ პაპილომა ვირუსი დაუდგინდა.

გინეკოლოგი უმტკიცებდა, რომ ვინაიდან ის ვირუსზე იყო აცრილი, მასთან სექსის წყალობით ის აუცილებელ იმუნიტეტს მიიღებდა. ექიმის უჩვეულო შეთავაზების გამო აღშფოთებულმა ქალმა დახმარების თხოვნით ტელევიზიის თანამშრომლებს მიმართა და მათ გამოძიება დაიწყეს: ერთ-ერთმა თანამშრომელმა თავი პაციენტად გაასაღა და მინიელოსთან მიღებაზე მივიდა.

მიღების დროს ექიმმა ტელევიზიის თანამშრომელს მასთან სამკურნალო სექსით დაკავება შესთავაზა და ის დასთანხმდა. წყვილი ერთმანეთს სასტუმროს ნომერში შეხვდა, სადაც წინასწარ ვიდეოკამერები იყო დაყენებული. როდესაც ექიმმა გაიხადა და ტრუსის ამარა დარჩა, ოთახში რეპორტიორი შევიდა და განუმარტა, რომ მინიელო გამოძიების გმირი გახდა.

მალე გაირკვა, რომ გინეკოლოგი ხშირად უსვამდა ქალ პაციენტებს არასწორ დიაგნოზს და სექსს, როგორც მკურნალობის საუკეთესო მეთოდს, ისე სთავაზობდა. თავად ექიმი ამ ყოველივეს მკურნალობის ალტერნატიულ მეთოდს უწოდებდა და აცხადებდა, რომ მრავალი ქალი გადაარჩინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

# ლეო მესი ოქროს ბურთის შვიდგზის მფლობელია

1956 წლიდან ყოველ წელს „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონია იმართება. გამონაკლისი მხოლოდ გასული წელი იყო. კორონავირუსის პანდემიის გამო ხსენებული ღონისძიება გაუქმდა. გულშემატკივრებში ამან უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან, დიდი ალბათობით, ამ პრესტიჟულ ჯილდოს რობერტო ლევანდოვსკი მოიგებდა, რომელსაც საოცარი სეზონი ჰქონდა.

თუმცა ეს უკვე განვლილია... 2021 წლის „ოქროს ბურთის“ რიგით 65-ე გამარჯვებული გამოვლინდა და ეს ლეო მესია, რომელიც კარიერაში მე-7 „ოქროს ბურთს“ დაეუფლა. არგენტინელმა სუპერვარსკვლავმა 2021 წელს კოპა ამერიკა მოიგო და არგენტინის ნაკრებს მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ტიტული მოაგებინა.

**ტოპ 10 კი ასე გამოიყურება:**

1. ლიონელ მესი (არგენტინა, პსჟ) – 613 ხმა;
2. რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი, ბაიერნი) – 580;
3. ჟორჟინიო (იტალია, ჩელსი) – 460;
4. ქარიმ ბენზემა (საფრანგეთი, რეალი) – 239;
5. ნგოლო კანტე (საფრანგეთი, ჩელსი) – 186;
6. კრისტიანუ რონალდუ (პორტუგალია, მანჩესტერი) – 178;
7. მოჰამედ სალაჰი (ეგვიპტე, ლივერპული) – 121;
8. კევინ დე ბრუინი (ბელგია, სიტი) – 73;
9. კილიამ მბაპე (საფრანგეთი, პსჟ) – 58;
10. ჯანლუიჯი დონარუმა (იტალია, პსჟ) – 36.

**ლეო მესი:**

– აქ ყოფნა საოცარი შეგრძნებაა. 2 წლის წინ არ ვიცოდი, რა მოხდებოდა და აი, ისევ აქ ვარ. ახლა პარი სენ-ჟერმენის რიგებში ვთამაშობ და ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა, ახალი მიზნებისთვის ბრძოლა გავაგრძელო. არ ვიცი, რამდენი წელი დამრჩა, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ ფეხბურთს კიდევ დიდხანს ვითამაშებ, რადგან ეს სპორტი ძალიან მიყვარს. მადლობა ჩემს თანაგუნდელებს ბარსელონაში, პარი სენ-ჟერმენსა და არგენტინის ნაკრებში. ადრე რაღაც არ მყოფნიდა და ახლა ყველაფერი სხვანაირადაა. ჩემი ოცნება ავისრულე, რომლისკენაც დიდი ხნის განმავლობაში მივდიოდი. ეს ჯილდო ხელში იმიტომ მიჭირავს, რომ კოპა ამერიკის გამარჯვებული გავხდი. მინდა, რობერტ ლევანდოვსკი ცალკე გამოვყო. რობერტ, შენთვის კონკურენციის გაწევა უდიდესი პატივია. ყველამ იცის, რომ შარშან „ოქროს ბურთის“ გამარჯვებული შენ იყავი და ვფიქრობ, ფრანს ფუტბოლმა 2020 წლისთვის ჯილდო უნდა გადმოგცეს. ეს ნამდვილად დაიმსახურე და შენს სახლში „ოქროს ბურთი“ აუცილებლად უნდა იყოს.

2021 წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი გახდა ალექსია პუტეიასი, რომელიც ესპანეთის ნაკრებისა და ბარსელონის ფეხბურთელია. აღსანიშნავია, რომ ალექსიას ყველაზე მეტი მატჩი (92) აქვს ჩატარებული „ფურია როხას“ რიგებში.

2021 წლის საუკეთესო მეკარე პარი სენ ჟერმენისა და იტალიის ნაკრების გოლკიპერი ჯანლუიჯი დონარუმა გახდა, რომელსაც შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. „ჯიჯოს“ დახმარებით იტალიის ნაკრებმა ევრო 2020 მოიგო და მილანს ჩემპიონთა ლიგაზე გასვლაში დაეხმარა.

ამ ნომინაციაზე წარდგენილი იყვნენ ედერსონი, მენდი, მანუელ ნოიერი და იან ობლაკი.

2021 წლის საუკეთესო გოლეადორი პოლონელი თავდამსხმელი რობერტ ლევანდოვსკი გახდა.

# საქართველო ესპანეთში შერცხვა

**ესპანეთი-საქართველო 89:61**

**(23:15, 24:16, 17:10, 25:20)**

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მე-2 მატჩი ესპანეთში, პლანეტის მოქმედ ჩემპიონთან გამანადგურებელი ანგარიშით წააგო – 61:89.

ტურნირის სადებიუტო მატჩში უკრაინასთან გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრებსა და მის ქომაგს ესპანეთში წარმატების იმედი გაუჩნდა, რომელიც გუნდის კაპიტნისა და ლიდერის, თორნიკე შენგელიას ტრავმამაც ვერ გაანელა. ესპანეთთან მატჩში ჩვენს ნაკრებს არ აკლდა შემართება, მაგრამ კლასში უპირატესობა მეტოქეს ჰქონდა, რაც საბოლოო ანგარიშში აისახა.

ძალიან ცუდად ითამაშა საქართველოს ნაკრებმა და ნათლად გამოჩნდა ის დიდი პრობლემა, რაც ქართულ კალათბურთშია. ქვეყანა მხოლოდ თითო-ოროლა ნიჭიერი კალათბურთელების ხარჯზეა და უდიდესი დატვირთვა ყოველთვის 3-4 კალათბურთელზე გადადის.

ჩვენი ნაკრების ბერძენმა თავკაცმა, ილიას ზუროსმა მეტოქეს სიურპრიზი შესთავაზა, როცა სასტარტო ხუთეულში გუნდის 21 წლის დებიუტანტი, ლუკა მაზიაშვილი დააყენა. ეფექტი ის იყო, რომ სანამ მასპინძლები თამაშს დაალაგებდნენ, საქართველოს ნაკრები რამდენჯერმე დაწინაურდა. გიორგი შერმადინის, თად მაკფადენისა და ბექა ბურჯანაძის შედეგიანობით ქართველები ჯერ 8:5, შემდეგ კი – 12:9 იგებდნენ. პირველი პერიოდის შუაში ხაიმე ფერნანდესმა სამქულიანით ანგარიში რომ გაათანაბრა (12:12), მას შემდეგ ესპანელები აღარ ჩამორჩენილან.

მასპინძლებმა ლიდერობის ზრდა მეთოდურად დაიწყეს, რასაც ზუროსმა ჩვენი გუნდის ხშირი როტაცია დაუპირისპირა. შეცვლაზე შემოსულმა კალათბურთელებმა მეტოქის მოძალება ვერ შეაჩერეს. პირველი პერიოდი ესპანელებმა 23:15 მოიგეს, თუმცა აკრეფილი სისწრაფე და შედეგიანობა მეორეში გააგრძელეს და დიდ შესვენებაზე 20-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

ფაქტია, კარგად დაწყებული მატჩის სადავეები ქართველებმა ვერ შეინარჩუნეს და მე-2 პერიოდიდან უიმედოდ ჩამორჩნენ.

ესპანელებმა იცოდნენ, რომ რეალურად საფრთხე საქართველოს ნაკრების 3 კალათბურთელიდან უნდა წამოსულიყო. პერიმეტრზე გაქანების საშუალება არ მისცეს თად მაკფადენს, რომელსაც ძალიან ხისტად ეთამაშებოდნენ. გიორგი შერმადინსაც არ აკლდა დაცვისგან ხისტობა, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონატის მოქმედი მვპ მსგავს თამაშს ნაჩვევია და ხშირ შემთხვევაში გამარჯვებული გამოდიოდა. ძალიან ბევრს „ჭიდაობდა“ ბექა ბურჯანაძე, რომელსაც ქართველ სათადარიგოებში ამყოლი არ გამოუჩნდა. როცა მეტოქემ საქართველოს ნაკრების ლიდერები შეზღუდა, ლიდერობის გაზრდა და მისი შენარჩუნება არ გასჭირვებია.

მე-3 პერიოდში ესპანელთა ლიდერობამ 30 ქულას გადააჭარბა და ზუროსის ნაკრების წარმატების იმედი საბოლოოდ განელდა.

საუკეთესო გიორგი შერმადინი იყო, რომელმაც 28 წუთში 21 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. 14-14 ქულა მიითვალეს ბექა ბურჯანაძემ და თად მაკფადენმა, რომელიც ერთადერთი კალათბურთელი იყო ჩვენს ნაკრებში, სამქულიანი რომ ჩააგდო. ამერიკელმა ლეგიონერმა 10 ცდიდან 4 შორეული სროლა გამოიყენა. 8 ქულა ჯინჭარაძის ანგარიშზეა, ხოლო 2-2 ქულა ოთარ ფხაკაძემ და გიორგი ტურძილაძემ მიითვალეს.

ჩვენს ჯგუფში 3 გუნდს – ესპანეთს, უკრაინას და საქართველოს თითო მოგებ-წაგება დაუგროვდა. უკრაინელებმა მე-2 ტურის მატჩში კიევში ჩრდილოეთ მაკედონია 78:61 დაამარცხეს.

სწორედ ჩრდილომაკედონიელები იქნებიან ჩვენი მომდევნო მეტოქეები. თებერვალში ბალკანეთის ამ ქვეყნის ნაკრებს 2-ჯერ – თბილისსა და სკოპიეში დავუპირისპირდებით.

მატჩის შემდეგ ფიბას ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ილიას ზუროსი** 3 წინადადებით შემოიფარგლა:

– ვულოცავ გამარჯვებას ესპანეთის ნაკრებს. დიდებული ატმოსფერო იყო. ლამაზი სანახავი იყო დარბაზი. ეს არის და ეს.

**ბექა ბურჯანაძე:**

– ესპანეთის ნაკრები კარგად დაბალანსებული გუნდია, ყველა რგოლში მაღალი ხარისხის კალათბურთელები ჰყავს. კარგად დავიწყეთ, ვიბრძოლეთ, მაგრამ ერთ მომენტში მეტოქემ დიდი სხვაობით გაგვასწრო და, დიდი მცდელობის მიუხედავად, თამაშის შემოტრიალება ვერ შევძელით.

# ფუტსალის ნაკრებმა მოსამზადებელი პერიოდი დაგეგმა

საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მზადების ფარგლებში 4 ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. 16 და 18 დეკემბერს ავთანდილ ასათიანის გუნდის მეტოქე სერბეთი იქნება, რომელიც უეფას რეიტინგში მე-6 პოზიციას იკავებს. სერბებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ფლეი ოფში მოიპოვეს. 21 და 22 დეკემბერს კი საქართველოს ფუტსალის ნაკრები ყირგიზეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

დეკემბერში დაგეგმილი 4-ვე ამხანაგური შეხვედრა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება.

საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მიმდინარე წლის აპრილში მოიპოვა. იანვარში ჩვენი გუნდი სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე ნიდერლანდებში ითამაშებს.

**საქართველოს ნაკრების მატჩები ევროპის ჩემპიონატზე დ ჯგუფში მოხვდა, რომლის კალენდარი ასეთია:**

**22 იანვარი**: საქართველო-აზერბაიჯანი;
**26 იანვარი**: ბოსნია-ჰერცეგოვინა-საქართველო;
**29 იანვარი**: ესპანეთი-საქართველო.

# ვიქტორ სანიკიძე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ყოფილი წევრი, საქართველოს პარლამენტის მე-10 მოწვევის დეპუტატი ვიქტორ სანიკიძე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირდა.

2021 წელი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციისთვის საარჩევნო წელია. ეროვნულმა ფედერაციამ დღეს, 30 ნოემბერს, ორი სრულუფლებიანი ხმის უფლების მქონე წევრის – საკალათბურთო კლუბ რუსთავი 1991-ისა და საკალათბურთო კლუბ ქუთაისი 2010-ის წარდგინებით, მიიღო განცხადებები ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატის დარეგისტრირების შესახებ.

საერთო საარჩევნო კრება 2021 წლის 11 დეკემბერს, 13:00 საათზე, „ქორთიარდ მარიოტის“ საკონფერენციო დარბაზშია დაგეგმილი.

# შედეგები

**29 ნოემბერი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონიგა**

დერბი-ქპრ ..... 1:2

**ესპანეთი.**
**პრიმერა დივიზიონი**

ოსასუნა-ელჩე ..... 1:1

**სატუნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 14 | 10 | 3 | 1 | 34-15 | 33 |
| 2.ატლეტიკო | 14 | 8 | 5 | 1 | 26-14 | 20 |
| 3.სოსიედადი | 15 | 8 | 5 | 2 | 19-11 | 29 |
| 4.სევილია | 14 | 8 | 4 | 2 | 24-11 | 28 |
| 5.ბეტისი | 15 | 8 | 3 | 4 | 25-18 | 27 |
| 6.რაიო | 15 | 7 | 3 | 5 | 23-16 | 24 |
| 7.ბარსელონა | 14 | 6 | 5 | 3 | 23-16 | 23 |
| 8.ბილბაო | 14 | 4 | 8 | 2 | 13-10 | 20 |
| 9.ესპანიოლი | 15 | 5 | 5 | 5 | 15-14 | 20 |
| 10.ოსასუნა | 15 | 5 | 5 | 5 | 15-19 | 20 |
| 11.ვალენსია | 15 | 4 | 7 | 4 | 22-21 | 19 |
| 12.ვილიარეალი | 14 | 3 | 7 | 4 | 16-16 | 16 |
| 13.სელტა | 15 | 4 | 4 | 7 | 16-19 | 16 |
| 14.მალიორკა | 15 | 3 | 7 | 5 | 14-22 | 16 |
| 15.ალავესი | 14 | 4 | 2 | 8 | 11-19 | 14 |
| 16.გრანადა | 14 | 2 | 6 | 6 | 14-22 | 12 |
| 17.ელჩე | 15 | 2 | 6 | 7 | 12-21 | 12 |
| 18.კადისი | 15 | 2 | 6 | 7 | 13-27 | 12 |
| 19.ხეტაფე | 15 | 2 | 4 | 9 | 10-19 | 10 |
| 20.ლევანტე | 15 | 0 | 7 | 8 | 13-28 | 7 |

**ესპანეთი.**
**სეგუნდა დივიზიონი**

ეიბარი-ხირონა ..... 4:2

**იტალია. სერია ბ**

ტერნანა-კროტონე ..... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-სანტა კლარა ..... 2:2

**ხესეთი. პრემიერლიგა**

უფა-სპარტაკი ..... 1:1
არსენალი-ლოკომოტივი ..... 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გიოზთეფე-ფენერბახჩე ..... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-ზორია ..... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ვეილე-მიდტიულანდი ..... 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

მილაბი-იორებრო ..... 0:0
სირიუსი-ჰაკენი ..... 3:0
ელფსბორგი-აიკი ..... 2:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ჯოსვორდი ბ



**შვეულად:** 1. შემაგრებული ესპანური ღვინო; 2. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 3. ავსტრალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ლიეტუვაში; 8. ბერმონაზონთა საეკლესიო-საადგილმამულო კომპლექსი; 9. მკვეთრად გამოსახული სხვაობა; 11. კოქტეილის მოსამზადებელი ჭურჭელი; 12. ფულის ერთეული იაპონიაში; 14. ქართული ლუდი; 16. ერთგვაროვანი საგნების სისტემაში მოყვანილი კრებული; 17. ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. ავსტრიელი ექიმი-ფსიქიატრი, ფსიქოანალიზის ფუძემდებელი; 21. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

**თარაზულად:** 5. ფილატელისტის ალბომი; 6. გაუთლელი მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 7. ოთარ იოსელიანის მხატვრული ფილმი; 10. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 13. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში; 15. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 18. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 20. ზამბარიანი მოწყობილობა აკრობატული ხტომებისათვის; 22. უმაღლესი ფარმაცევტული განათლების მქონე ფარმაცევტი; 23. გერმანელი არქიტექტორი, რესტავრირებული ქაშვეთის ეკლესიის პროექტის ავტორი; 24. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აუდიტი; 2. ციცკა; 3. პლაზმა; 4. არენდა; 6. კათედრა; 9. კუსტო; 11. ვივალდი; 15. ნიკოლსონი; 16. სულორი; 17. კარამელი; 19. იდიოტია; 21. ბრონქსი; 22. კაჭიჭი.

**თარაზულად:** 5. სუროგატი; 7. არქტიკა; 8. პერესი; 10. დუმბაძე; 12. დერბი; 13. უფიცა; 14. ბეტანკური; 18. დრაგი; 20. ბურახი; 23. პაულსი; 24. ორლი; 25. ჭორომი; 26. ჭონა; 27. ოსტრია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბაკარა; 2. ბურნუთი; 3. პამპლონა; 4. სიმეტრია; 8. პერინიონი; 9. რაიხსტაგი; 11. ფაიზერი; 12. ქორო; 14. კრკა; 16. პროგრამა; 17. მონბლანი; 19. კრიშნა; 21. რევიუ.

**თარაზულად:** 5. კავასაკი; 6. ბრაზილია; 7. ტარანტული; 10. ჰოპერი; 13. სტატია; 15. ფრიზერი; 18. კრეოლი; 20. არგონი; 22. ჰაინეკენი; 23. ემბრიონი; 24. დილიჟანი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 დეკემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1179

ევრო — 3.5451

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1636

100 რუსული რუბლი — 4.1660

## ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისათვის

## არტურ მელომ, შესაძლოა, იუვენტუსი დატოვოს

ტურინის იუვენტუსის ნახევარმცველმა არტურ მელომ, შესაძლოა, გუნდი დატოვოს, რადგან ბოლო პერიოდში ის ნაკლებად ხვდება გუნდის ძირითად შემადგენლობაში და ამიტომ არტური იუვენტუსიდან წასვლას აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს კარიერას, მაგრამ მისი იტალიაში დარჩენა თითქმის გამორიცხულია.

სავარაუდოდ, არტური ესპანეთში დაბრუნდება, სადაც მას უკვე აქვს თამაშის გამოცდილება და იუვენტუსში ის ბარსელონიდან გადავიდა.

## კლოპს ფორვარდის ყიდვა სურს

ლივერპულს შეტევაში, შესაძლოა, პრობლემები შეექმნას, რადგან მოჰამედ სალაჰი და სადიო მანე აფრიკის თასზე გაემგზავრებიან და მათ შემცვლელი დასჭირდებათ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კლოპი ახალ ფორვარდს ეძებს და ეს ფორვარდი, შესაძლოა, კილიან მბაპეც იყოს, თუმცა ზამთარში მბაპეს შეძენა რთული იქნება.

მბაპეს გარდა, კლოპს ერლინგ ჰოლანდის შეძენაც სურს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ქალმა ბოიფრენდის დაბადების დღეზე პორნომსახიობები მიიწვია და ორგია გამართა

ყოფილმა პორნოვარსკვლავმა სამანტა სეინტმა თავისი ბოიფრენდის დაბადების დღის აღსანიშნავად ორგია გამართა.

ამ ყოველივეს შესახებ სეინტმა ისაუბრა გადაცემაში, რომელიც ალექსის ტეკსას მიჰყავდა და რომელიც წარსულში ასევე პორნოფილმებში მონაწილეობდა. წამყვანმა სამანტას ჰკითხა, რა იყო ყველაზე რომანტიკული საქციელი, რომელიც თავისი პარტნიორის პატივსაცემად ჩაიდინა.

– ჩემს ბოიფრენდს არცთუ ურიგო სექსი სამთან მოვუწყვე, – განაცხადა სეინტმა.

– თუ უფრო მეტთან?

– ზუსტად არ მახსოვს, კონკრეტულად რამდენი ადამიანი ესწრებოდა.

ქალის თქმით, მან ბოიფრენდის 40 წლის იუბილეზე ყველა იმ ნაცნობ პორნომსახიობებს მოუყარა თავი, რომლებიც მას მოსწონდა.

– მეტად დასამახსოვრებელი წვეულება იყო, – განაცხადა სეინტმა, – ჩვენ ლას-ვეგასში ვიმყოფებოდით. ასე რომ, ყველაფერი დასაშვები იყო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 1 დეკემბრისათვის



**ვერძი** – საქმეში ხელს უყურადღებობა და დაუდევრობა გიშლით. ერიდეთ ქარაფშუტა და ზარმაც ადამიანებთან ურთიერთობას. **კურო** – ნუ აჩქარდებით. გულმოდგინედ გააანალიზეთ თითოეული ნაბიჯი. ილუზიებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის, ცოდნის არეალის გასაფართოებლად მშვენიერი დღეა. არ იზარმაცოთ. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე გაქვთ. **ლომი** – ნებისმიერი კოლექტიური საქმიანობა თქვენგან სიფრთხილესა და წინდახედულობას მოითხოვს. მოსალოდნელია კონფლიქტი უფროსობასთან. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გაფორიაქებთ. ერიდეთ გაუთვალისწინებელ ხარჯებს. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად. ახლობლებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ღრიანკალი** – დღის პირველ ნახევარში ყურადღების ცენტრში ხართ. თავმოყვარეობას გაუფრთხილდით. **მშვილდოსანი** – მეგობრების გონივრული რჩევები გაითვალისწინეთ. ეცადეთ, საქმე აუჩქარებლად აკეთოთ. **თხის რქა** – სამსახურში ხელმძღვანელობის მხრიდან დაბრკოლებები შეგხვდებათ. ჯანმრთელობას მიხედეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ დააყოვნოთ. **მერწყული** – დაძაბული დღეა. ხმაურიან საზოგადოებაში გამოჩენას ერიდეთ. გეგმები გეცვლებათ. **თევზები** – მშვიდი დღეა. საქმეში ხელს არავინ გიშლით. საღამოს დაისვენეთ და გაერთეთ.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წელსაც მინდა პარიზში წასვლა.

– შარშან იყავი?

– არა, შარშანაც მინდოდა.

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– შენ ჰაერივით ხარ.

– ისეთივე მსუბუქი? – კეკლუცად ეკითხება ქალი.

– არა, მასავით მთელ ფართობს ავსებ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ჩემი გესმის?

– კი, მესმის.

– მაშინ იქნებ მეც ამიხსნა.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– მინდა, შენ ახლო ნათესავებზე დაგელაპარაკო!

– მართლა?!

– შენი დედა...! როდის დამიბრუნებ ჩემ 500 ლარს?!

●●●

მზარეული და ოფიციანტი კლიენტს სამზარეულოდან თვალს ადევნებენ. მზარეული ეუბნება:

– ერთი შეხედე, ჭამს, მართლა ჭამს!

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რა გჭირს, როგორ გამხდარხარ?

– ვნერვიულობ და...

– რაზე?

– ქმარი მღალატობს.

– მერე შენც ადექი და გაეყარე.

– ჯერ არა, კიდევ ხუთი კილო მაქვს დასაკლები.

## მერაბ აბრამიშვილის ნახატი 57.600 ევროდ გაიყიდა

მხატვარ მერაბ აბრამიშვილის ნახატები საკმაოდ ხშირად იყიდება მსოფლიოს ცნობილ აუქციონებზე. ამჯერად ქართველი ხელოვანის ნამუშევარი ფინეთში, ბუკოვსკის ონლაინაუქციონზე გაიყიდა.

მერაბ აბრამიშვილის ნამუშევარი „ჭიანჭველაჭამია“ 57.600 ევროდ შეიძინეს.

საერთაშორისო არტმარკეტი და ქართული ხელოვნება ძალიან საინტერესო თემაა და მერაბ აბრამიშვილი მისი მუდმივი მონაწილეა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მერაბ აბრამიშვილის ნახატი სოლიდურ ფასად იყიდება. მისი ნამუშევრები ათასობით ევრო ღირს.

## ნიქოზში სამარხი აღმოაჩინეს

სოფელ ნიქოზში არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხი აღმოაჩინეს. აღმოჩენა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ეკუთვნით.

პროექტი „არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად საკუპაციო ხაზის სიახლოვეს“ ფარგლებში განხორციელდა და სოფელ ქვემო ნიქოზში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა.

ქვემო ნიქოზის მკვიდრ ბადრი დევიძის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩენილია ბრინჯაოს ბრტყელი ცული, ბრინჯაოსა და რკინის წინდები და ლითონსადნობი ქურის ნიშნები. ასევე, გამოვლინდა პრეისტორიული პერიოდის ნიმუშები, კერძოდ, მტკვარ-არაქსის მასალები, დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის და, რაც ყველაზე საყურადღებოა, აღმოჩნდა სამარხი მიცვალებულის ნაშთებით.

მოცემული ტერიტორია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი ერთადერთი ძეგლია, რომელიც საოკუპაციო გამყოფი ხაზის მიმდებარედ, საქართველოს კონტროლირებად მხარეს მდებარეობს, რადგან გასულ საუკუნეებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები მოქცეულია მავთულხლართს მიღმა.

აღმოჩენილი ნივთები შემდგომი მოკვლევის, შესწავლისა და, საჭიროების შემთხვევაში, რესტავრაციის მიზნით გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრში იქნება გადატანილი.

არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში ჩართული იყვნენ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, არქეოლოგი გოგი მინდიაშვილი, დოქტორანტი ირაკლი სოზიაშვილი და ისტორიკოსი სოსო ალიმბარაშვილი.

პროექტი „არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად“ მომავალშიც განხორციელდება. სტუდენტებისა და მათი პროფესიისთვის მნიშვნელოვანია, რომ გამოცდილ არქეოლოგებთან ერთად სამუშაოებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

## სალომე ღვინიაშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვა

მოდელმა და ტელეწამყვანმა სალომე ღვინიაშვილმა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვა. ის და მისი მეწყვილე გუკა ჭანტურია პროექტს მიღმა აღმოჩნდნენ. სალომემ მეათე საიუბილეო სეზონში მონაწილეობა ლევან ახვლედიანთან ერთად დაიწყო, თუმცა ბოლო ორი საკონკურსო ტური გუკა ჭანტურიასთან ერთად იცეკვა.

სალომე ღვინიაშვილთან ერთად გავარდნის კანდიდატი მსახიობი ლაშა გურგენიძე აღმოჩნდა. ლაშა გურგენიძე და კარინა ლისენკო მაყურებელმა შოუში დატოვა, სალომე ღვინიაშვილი და გუკა ჭანტურია კი პროექტს მიღმა აღმოჩნდნენ.

კონკურსანტები ირაკლი მაქაცარიამ, მაკა მახარაძემ და ნინო სუხიშვილმა შეაფასეს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## უსახლკაროთა თავშესაფრის დირექტორმა დაწესებულების ფულით სამკაულები შეიძინა

აშშ-ის ქალაქ ნიუ იორკში უსახლკაროთა თავშესაფრის აღმასრულებელმა დირექტორმა ორგანიზაციის ანგარიშიდან ორი მილიონი დოლარი მოიპარა და ტიფანის სამკაულების, ძვირფასი ნივთებისა და სპორტდარბაზის აბონემენტის შეძენაში დახარჯა.

ესტელ დენიზ პერიმ აღიარა, რომ მიითვისა და ძვირფასი სამკაულებისა და ნივთების შეძენაში დახარჯა ქალაქ ნიუ იორკის უსახლკაროთა საქმეების დეპარტამენტის მიერ საქველმოქმედო ხარჯებისთვის გამოყოფილი 10 მილიონი დოლარიდან ორი მილიონი. გარდა ამისა, მან ორგანიზაციაში დაასაქმა ძმა და ნათესავი და იმაზე მეტ ხელფასს უხდიდა, ვიდრე ეს ოფიციალური შეთანხმებით იყო გათვალისწინებული.

გენერალური პროკურატურის მონაცემებით, პერი ასევე თავს არიდებდა გადასახადების გადახდას და შემოსავლებს ასიათასობით დოლარით ნაკლებს უჩვენებდა. გამოსაცდელი ხუთი წლის განმავლობაში მან 1,1 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოს გადასახადებისა და ჯარიმების სახით. მას შემდეგ, რაც ქალმა ფულის დატაცების დანაშაული აღიარა, მას საქველმოქმედო ფონდებსა და არაკომერციულ ორგანიზაციებში მუშაობა აეკრძალა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჯოსვოხდი ↄ



**შვეულად:** 1. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 2. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 3. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 4. ცირკის არენა; 6. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 9. ყვითელი ფერის მტკიცე, გამჭვირვალე, ფისოვანი მინერალი; 11. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 15. გერმანიაში გამოყვანილი უხეშბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 16. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 19. კუთხე საქართველოში; 21. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 22. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე.

**თარაზულად:** 5. ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების გაუმჯობესება ხელოვნური შერჩევით; 7. მჭევრმეტყველი ადამიანი; 8. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 10. კატისებრთა ოჯახის გარეული ცხოველი; 12. ჩეხი მხედართმთავარი, ეროვნული გმირი; 13. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 14. ელჩის განწევა სახელმწიფოდან; 18. ქართული ხალხური თამაში ქამრებით; 20. მეტროს სახელწოდება აშშ-სა და ინგლისში; 23. ოპერა „მინდიას“ პერსონაჟი; 24. ქართული სპორტული გაზეთი; 25. არაბი გლეხი; 26. უბანი თბილისში; 27. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, საიზოლაციო მასალა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*